საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

E171
1957

პრეზუელი
СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

3

მარტი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

გადაეცა წარმოებას 5/III—57 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-57 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,5, სააღრიცხვო—3,31, საავტორო—3,19.

შეკვეთა № 562. ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2
თბილისი ფურცელაძის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 50

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 17 იანვარი

სათამაშოების მუზეუმის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სათამაშოების მუზეუმი აწარმოებს შემოქმედებითს, კვლევითსა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

მუზეუმს აქვს 724-მდე ექსპონატი, რომელიც თავისი ორიგინალობით მნახველთა ყურადღებას იმსახურებს. მრავალფეროვანი ექსპონატები მხატვრულად სრულყოფილი, საინტერესო და მისაწვდომია ბავშვებისათვის. გარდა ქართული, ნაციონალური დედოფლებისა და სათამაშოებისა, მუზეუმს აქვს მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ნაციონალური სათამაშოები; მუზეუმი პოპულარობით სარგებლობს; მუზეუმის გამგე თ. თუმანიშვილი მონდომებით ხელმძღვანელობს მუზეუმის მუშაობას.

F2037

მიუხედავად ამისა, მუზეუმის მუშაობას ახასიათებს ნაკლოვანებები. შედგენილია მხოლოდ წლიური გეგმა, რომელიც არავის მიერ არაა დამტკიცებული. გეგმის შესრულებას არ ეწევა სათანადო კონტროლი. მუზეუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს სხდომა არ იწვევა რეგულარულად. 1956 წელს სამეცნიერო საბჭოს სხდომა მოწვეულია 6-ჯერ, ნაცვლად თორმეტისა. სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე ძირითადად იხილება სამუშაო გეგმის შედგენისა და შესრულების საკითხები.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა გადახალისებას მოითხოვს. მოძველებულია მუზეუმის დებულებაც.

სათამაშოების მუზეუმი არაა მჭიდრო კავშირში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულ სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკურ კომისიასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სათამაშოების მუზეუმის გამგეს ამხ. თ. თუმანიშვილს:

ა) სისტემატურად აწარმოოს წლიური და კვარტალური გეგმების შედგენა და უზრუნველყოს მათი შესრულება;

ბ) გადაამუშაოს სათამაშოების მუზეუმის დებულება და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს;

გ) წარმოადგინოს პროექტი სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობისა;

დ) მოეწყოს მივლინებები მოკავშირე რესპუბლიკებსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში სათამაშოების შესწავლისა და ახალი ექსპონატების შექმნის მიზნით.

2. დაევალოს სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის მდივანს ამხ. თ. ჯაფარიძეს:

ა) სათამაშოების მუზეუმის გამგესთან ამხ. თ. თუმანიშვილთან ერთად შეარჩიოს საუკეთესო სათამაშოების ნიმუშები წარმოებაში დასანერგად;

ბ) სისტემატურად ხდებოდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული სათამაშოების ნიმუშების მუზეუმზე გადაცემა.

3. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) ყოველ კვარტალში განიხილოს და დაამტკიცოს მუზეუმის სამუშაო გეგმა და კონტროლი გაუწიოს მის შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 11 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 93

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1957 წლის 29 იანვარი

მოსწავლეთა არდადეგების, სკოლებში მეცადინეობის დამთავრებისა და გამოცდების ჩატარების ვადების შესახებ

სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით და სასწავლო წლის ორგანიზებულად ჩატარებისა და დასრულების მიზნით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდეს 25 მარტიდან 3 აპრილამდე ჩათვლით.

2. დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში მეცადინეობა დამთავრდეს I, II, III, XI კლასებში — 24 მაისს;

IV, V, VI, VII, VIII, IX და X კლასებში — 28 მაისს.

3. გამოსაშვები გამოცდები მეშვიდე კლასში ჩატარდეს 30 მაისიდან 12 ივნისამდე, XI კლასში სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები კი — 30 მაისიდან 22 ივნისამდე.

4. მუშა ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი საშუალო სკოლების V—XI კლასებში მეცადინეობა დამთავრდეს, მეშვიდე კლასებში გამოსაშვები და XI კლასებში სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები ჩატარდეს იმავე ვადებში, რაც დაწესებულია დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისათვის.

5. დაუსწრებელი საშუალო სკოლის V, VI, VIII, IX, X კლასებში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

V კლასებში — 30 მაისიდან — 7 ივნისამდე,

VI კლასებში — 30 მაისიდან — 8 ივნისამდე,

VIII კლასებში — 30 მაისიდან — 10 ივნისამდე,

IX კლასებში — 30 მაისიდან — 15 ივნისამდე,

X კლასებში — 30 მაისიდან — 15 ივნისამდე (ჩათვლით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსწრებელი საშუალო სკოლის გადასაყვან კლასებში საგა-მოცდო საგნები დარჩეს იგივე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 14 აპრილის ბრძანებით (№ 352).

6. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო წელი დამთავრდეს:

საშუალო და შვიდწლიანი სკოლების I — VI კლასებში — 30 აპრილს, VII და XI კლასებში — 12 აპრილს, საშუალო სკოლების VIII — X კლასებში 30 აპრილს.

7. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების VII და XI კლასებში საგაზაფხულო გამოცდები დაიწყოს 16 აპრილს და დამთავრდეს 30 აპრილს.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
1957 წლის 4 თებერვალი

დებულება
სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას პედაგოგიური ზედამხედველობა იმ მოსწავლეებზე, რომლებიც მოკლებული არიან მშობელთა მეთვალყურეობას არასასწავლო დროის განმავლობაში.

2. გახანგრძლივებული დღის ჯგუფს აყალიბებს სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილების ნებართვით, იმ შემთხვევაში, როდესაც არიან I — IV კლასების მოსწავლეები, რომლებიც არასასწავლო დროს პედაგოგიურ მეთვალყურეობას საჭიროებენ.

II. დაკომპლექტება

1. ჯგუფში ბავშვების მიღებას, მშობელთა განცხადების საფუძველზე, აწარმოებს დირექტორი.

2. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის საშუალო დატვირთვა განისაზღვრება 25 — 40 ბავშვით.

III. აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია

1. აღმზრდელობით მუშაობას ჯგუფში ატარებს აღმზრდელი, რომელსაც აქვს პედაგოგიური განათლება.

აღმზრდელს ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილება განათლების განყოფილებათა წარდგენით.

2. გახანგრძლივებული ჯგუფის მუშაობის ხანგრძლიობა და სამუშაო საათები განისაზღვრება მეცადინეობის ცხრილით ისე,

რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეებზე პედაგოგიური მეთვალყურეობა იმ დროის განმავლობაში, რაც მათი მშობლები დაკავებული არიან სამუშაოთი, მაგრამ არაუმეტეს 5 საათისა (ალმზრდელის სამუშაო დღე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გახანგრძლივებული დღის ჯგუფში, სკოლის დირექტორის ბიერ დამტკიცებული გეგმით, ტარდება შემდეგი მუშაობა ბავშვებთან: გაკვეთილების მომზადება, კლასგარეშე კითხვა, შრომითი საქმიანობა, გასეირნება, თამაშობანი და სხვ.

4. ალმზრდელი ადგენს დღის რეჟიმს, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი. დღის რეჟიმს უნდა იცნობდეს ჯგუფში მყოფი ყველა მოსწავლე.

5. ბავშვებთან მუშაობის პერიოდში ალმზრდელი პასუხისმგებელია ამ მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე და ბავშვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

VI. ალმზრდელის შრომისა და ბავშვთა შენახვის ხარჯების ანაზღაურება

1. ალმზრდელს მუშაობა აუნაზღაურდება ფაქტიურად ჩატარებული საათების მიხედვით საბავშვო სახლის ალმზრდელისათვის დადგენილი განაკვეთით, საბავშვო სახლების ალმზრდელებისა და სხვა მუშაკთათვის ხელფასის განაკვეთების გამოანგარიშების ინსტრუქციის შესაბამისად, ალმზრდელის განათლებისა და პედაგოგიური სტაჟის გათვალისწინებით.

2. ალმზრდელის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მშობლები ფარავენ.

3. მოსწავლეთა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ყოფნის გადასახადის ოდენობას აწესებენ შესაბამისი ქალაქების ალმასკომები.

ქალაქის ალმასკომების გადაწყვეტილებით მოსწავლეები ცალკეულ შემთხვევებში, განათლებაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა ხარჯზე, შეიძლება განთავისუფლებულ იქნან გადასახადისაგან, მაგრამ არაუმეტეს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მყოფ მოსწავლეთა საერთო შემადგენლობის 15%-ისა.

4. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის შენახვის ხარჯთაღრიცხვას ადგენს სკოლის დირექტორი მშობელთა კომიტეტთან ერთად. ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს განათლების განყოფილება.

5. გახანგრძლივებული დღის ჯგუფში ბავშვების შენახვის ყო-

ველი თვის გადასახადი მოსწავლეთა მშობლებს წინასწარ შეაქვთ სკოლის მიმდინარე ანგარიშზე „სპეცსახსრების“ განაყოფში.

6. მოსწავლეთა კვება ეწყობა სკოლის ბუფეტში, სასადილოდ მშობლების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. ბინა და მოწყობილობა

გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სამუშაოდ სკოლა უფასოდ გამოყოფს სათანადო საკლასო ოთახს, საჭირო ავეჯსა და ნივთებს კლასგარეშე მუშაობისათვის (წიგნები, სამაგიდო სათამაშოები და სხვ.)

VI. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობაში სკოლის მშობელთა კომიტეტის მონაწილეობა

მშობელთა კომიტეტი დახმარებას უწევს სკოლის დირექტორს იმ ბავშვების შერჩევაში, რომლებიც უნდა მოხვდნენ გახანგრძლივებული დღის ჯგუფში, აგრეთვე ეხმარება ამ ბავშვების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლაში, მოსწავლეთა კვების მოწესრიგებაში, კლასგარეშე და სხვა სამუშაოების ჩატარებაში.

VII ხელმძღვანელობა და კონტროლი

გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მუშაობაზე კონტროლსა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სკოლის დირექტორი და განათლების განყოფილება. სკოლის ექიმი ახორციელებს მეთვალყურეობას ჯგუფში ბავშვთა რეჟიმისა და ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 285/3

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 5 თებერვალი

კადრების დარგში ქ. ფოთის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ

გავეცანი რა სკოლების მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის დარგში ქ. ფოთის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა დიდ ნაწილს არა აქვს წესრიგში პირადი საქმეები. საბუთები არ არის დალაგებული საქართველოს სსრ განათლების სამინიტროს 1954 წლის ინსტრუქციის შესაბამისად. პირად საქმეში არ არის შეტანილი ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებული ცვლილებები. მასწავლებელთა საგრძნობ ნაწილს არ აქვს შევსებული სპეციალისტის ბარათები. განთავისუფლებული მასწავლებლები არ არიან აღრიცხვიდან მოხსნილი; მათი პირადი საქმეები ამოუღებელია. სისტემატური ხასიათი აქვს მასწავლებელთა დანიშვნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე ან მათი დანიშვნის შესახებ პროექტის დიდი დაგვიანებით წარმოდგენას.

1956 წლის 7 სექტემბრის № 13 მომართვით (კადრების განყოფილებამ მიიღო 12/IX № 2121) ფოთის განათლების განყოფილება მოითხოვდა 20 აგვისტოდან 20 მასწავლებლის განთავისუფლებას, 37 მასწავლებლის დანიშვნას და 23 მასწავლებლის გადაყვანას; 1956 წლის 20 სექტემბერს კი განყოფილებამ სამინისტროში გამოგზავნა 2 მომართვა № 575 და № 30, რომლითაც მოითხოვდა ორი მასწავლებლის განთავისუფლებას 1956 წლის 20 აგვისტოდან, ერთი მასწავლებლისას --15 სექტემბრიდან და 25 მასწავლებლის დანიშვნას 20 აგვისტოდან (მათ შორის 6-ს შეთავსებით), აგრეთვე ერთი მასწავლებლის გადაყვანას. 1956 წლის 17 დეკემბრის № 173

მომართვით განათლების განყოფილება მოითხოვდა 20 აგვისტოდან 3 მასწავლებლის განთავისუფლებას, 28 მასწავლებლის დანიშვნას (მათ შორის 8 მასწ. შეთავსებით) და 2 მასწავლებლის გადაყვანას. 1957 წლის 4 იანვრის № 200 მომართვით—26 მასწავლებლის დანიშვნას და 1 მასწავლებლის გადაყვანას გასული წლის 20 აგვისტოდან. გარდა ამისა, 16 ოქტომბრიდან 21 დეკემბრამდე 6-ჯერ გამოიგზავნა მომართვები მასწავლებელთა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლებიც შეეხო 16 მასწავლებელს. სულ 1956 — 1957 სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე განათლების განყოფილება მოითხოვდა ცვლილებების გატარებას 454 მასწავლებლიდან 185-ზე, მაშინ როდესაც ძირითადად ეს ცვლილებები უნდა მომხდარიყო ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

განათლების განყოფილება მომართვებს აფორმებს უწესოდ, მათზე აწერს ნებისმიერ ნომრებს. 1956 წლის 7 სექტემბერს დაწერილ მომართვას აქვს № 13, 20 სექტემბერს დაწერილ მომართვებს № 575, № 30 და № 24, 1957 წლის 4 იანვრის მომართვას № 200. მასწავლებელთა დანიშვნის პროექტებს არ ახლავს პირადი და სპეციალისტის ბარათები.

ფოთის განათლების განყოფილება 1956 წლის 20 სექტემბრის № 24 მომართვით რეკომენდაციას აძლევს დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად პედაგოგიური სტაჟის არმქონე ან არასაკმაო სტაჟის მქონე მუშაკებს. საგვიჩიოს 7-წლიანი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე განყოფილებამ წამოაყენა ნოდარ ირაკლის-ძე ბერაია, რომელმაც 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობის არავითარი სტაჟი არა აქვს, ხოლო ფოთის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე შუამდგომლობა აღუძრა შოთა ივანეს ძე კაკულიას, რომელსაც პედაგოგიური მუშაობის 2 წლის სტაჟი აქვს. ასეთივე სტაჟი აქვს გრიგოლ თევდორეს ძე არჩაიას, რომელიც განათლების განყოფილების პროექტით ინიშნებოდა ჭალადიდის საშუალო სკოლის დირექტორად. ყველა ისინი 1956 წლის 20 აგვისტოდან აღნიშნული სკოლების ფაქტიური დირექტორები არიან.

არადამაკმაყოფილებელია განათლების განყოფილების მუშაობა ახალგაზრდა მასწავლებლებთან. მათ საყოფაცხოვრებო პირობებს

განათლების განყოფილება არ იცნობს. მხოლოდ ერთხელ ჩაატარა ქალაქის პედკაბინეტმა მათთან სემინარი პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის გასაცნობად. სხვა ინდივიდუალური მუშაობა არ ჩატარებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმუშევარი მასწავლებლები აღრიცხული არიან სპეციალობის მიხედვით, მაგრამ არ არიან ისინი გატარებული სპეციალურ ჟურნალში. მხოლოდ მათი განცხადებებია საქმეში ჩაკერებული.

შრომის წიგნაკები გადაეცა სკოლებს 1956 წლის სექტემბერში, მაგრამ არც გადაცემამდე და არც შემდგომ მათში საჭირო ცვლილებები არ არის შეტანილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ქ. ფოთის განათლების განყოფილებას:

ა) არ დაუშვას მასწავლებელთა მუდმივ სამუშაოზე გაგზავნა განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე;

ბ) ზუსტად იხელმძღვანელოს განათლების სამინისტროს 1954 წლის ინსტრუქციით მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების შესახებ;

გ) დააწესოს მტკიცე კონტროლი სკოლების მიერ შრომის წიგნაკების წესიერად შევსებაზე.

დ) აწარმოოს სისტემატური მუშაობა ახალგაზრდა სპეციალისტებთან: მიამაგროს ისინი გამოცდილ მასწავლებლებს, სისტემატურად ჩაატაროს მათთან თათბირები მეთოდურ საკითხებზე და გაუწიოს დახმარება საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

ე) საქმიანი ქაღალდები—მიმართვები, ბრძანებები, ბრძანებების პროექტები და სხვ. გააფორმოს სათანადო წესების დაცვით და არ დაუშვას ნებისმიერი ნომრების დასმა ოფიციალურ ქაღალდებზე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე მასწავლებელთა სამუშაოზე გაგზავნის, მათ შემადგენლობაში დამატებითი ცვლილებების სიმრავლისა და დიდი დაგვიანებით წარმოდგენის, ზოგიერთ დასანიშნავ მასწავლებელზე არასრული ცნობების მოწოდების, ოფიციალური დოკუმენტების უმართებულოდ შედგენისა და დირექტორთა კანდიდატურების შერჩევაში უპასუხისმგებლობის გამოჩენისათვის ქ. ფოთის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. აკაკი ლევანიას ძე ცხადაიას გამოეცხადოს საყვედური.

3. ეს ბრძანება დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილებულ იქნან განათლების განყოფილებათა გამგეები, რომ მსგავსი დარღვევების დაშვების შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 25 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, დაუსწრებელი და ოფიცერთა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ზოგიერთი მოსწავლის უცხო ენის სწავლებისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოდის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და დაუსწრებელი საშუალო სკოლების მოსწავლეთა განცხადებები უცხო ენის შესწავლისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

მოსწავლეები თავიანთ თხოვნას ასაბუთებენ სწავლაში ხანგრძლივი წყვეტით და დიდი ასაკით (35—40 წ.), ამასთან აღნიშნავენ, რომ ადრე მათ ან სრულიად არ უსწავლიათ უცხო ენა, ან უსწავლიათ მრავალი წლის წინათ, რის გამო არა აქვთ საჭირო ცოდნა პროგრამული მასალის ნორმალური გავლისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ნებას რთავს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, ცალკეულ შემთხვევებში, სკოლების პედაგოგიური საბჭოების შუამდგომლობების საფუძველზე, უცხო ენის შესწავლისაგან გაათავისუფლონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, დაუსწრებელი და აგრეთვე ოფიცერთა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების 35 წლისა და მეტი ასაკის მქონე მოსწავლეები.

უცხო ენის შესწავლისაგან განთავისუფლებული მოსწავლეების მოწმობებსა და სიმწიფის ატესტატებში უცხო ენის გასწვრივ ხაზი გაისმება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 142

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1957 წლის 13 თებერვალი

1956 წლის IV კვარტალში საბავშვო სახლების შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთ საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

ზუგდიდის საბავშვო სახლში აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობა უყურადღებოდაა მიტოვებული. როგორც საძინებელი, ისე სამეცადინო ოთახები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ბავშვებში არაა გამომუშავებული სათანადო კულტურული ჩვევები. ისინი არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით და თვალსაჩინო-დიდაქტიკური ხელსაწყოებით. დაბალია აკადემიური მოსწრება, 85 შეფასებული აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 9. საბავშვო სახლის 6 აღსაზრდელი სკოლაში არაა ჩაბმული, არ ტარდება მეთოდთათბირები და ღია მეცადინეობები. ადგილი აქვს ბავშვების უნებართვოდ გასვლის შემთხვევებს. აღსაზრდელთა პირადი საქმეები მოუწესრიგებელია. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომითი სწავლება. დარღვეულია სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაც. ადგილი აქვს თანხების როგორც აუთვისებლობას, ისე გადახარჯვას. საბავშვო სახლის დიასახლის-მეკუჭნავე ვ. შენგელიას 1 ოქტომბრისათვის დააკლდა 2910 მანეთი. გაზრდილია დებიტორული დავალიანება. დირექტორი ა. კვირტია ითვლება ანგარიშვალდებულ პირად. 1 ოქტომბრისათვის მასზე ირიცხებოდა 4842 მან; ხოლო შემოწმების მომენტში 1856 მანეთი. ბუხჰალტერ ე. ჭკადუას მიერ დარღვეულია საფინანსო დოკუმენტაციის გაფორმების წესები. ყოველდღიურად არ იწერება საწყობის შემოსავალ-გასავლის ფაქტურა. პროდუქტების გაცემის ფაქტურებზე არ გამოყავთ ფასი და ჯამი. პროდუქტების

ხარჯვაზე არ არის შედგენილი პასუხისმგებელი მორიგეების აქტები. არასწორად წარმოებს მივლინების ხარჯების განაღდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახინჯაურისა და ვაკის საბავშვო სახლებში საძინებელი ოთახები არ თბება.

მახინჯაურის, ვაკის, რუსთავის, კარდანახის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა პირადი საქმეები მოუწესრიგებელია. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომითი სწავლება ბორჯომის, ვაკის, ბათუმის და რუსთავის საბავშვო სახლებში.

მახინჯაურის საბავშვო სახლში ადგილი ჰქონდა 12044 მან. რბილი ინვენტარის დაკარგვას. ყოფილ მნეს ვ. გოგიტიძეს 1820 მან. დანაკლისი აქვს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლის დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება;

ბ) უმოკლეს დროში აღმოფხვრან აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევები.

2. საბავშვო სახლის მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის ზუგდიდის საბავშვო სახლის დირექტორი ა. კვირტია განთავისუფლდეს სამუშაოდან.

3. საფინანსო საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის გამოეცხადოს საყვედური ზუგდიდის საბავშვო სახლის ბუხჰალტერს ე. ჭკადუას.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორი ლ. პავლოვა განთავისუფლებულია სამუშაოდან, მახინჯაურის საბავშვო სახლის ყოფილი მნის ვ. ტოგონიძის საქმე გადაცემულია საგამომძიებლო ორგანოზე და ზუგდიდის საბავშვო სახლის დიასახლისი-მეკუჭნავე ვ. შენგელია მოხსნილია თანამდებობიდან.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 8 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 154

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1957 წლის 15 თებერვალი

ასსრ განათლების სამინისტროების, ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების შესახებ

F2037

როგორც შემოწმებით დადასტურდა, 1956 წელს განათლების ადგილობრივ ზოგიერთ ორგანოს არ შეუსრულებია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რიგი მნიშვნელოვანი ბრძანება, განკარგულება და მოწერილობა. ასე, მაგალითად: „სკოლების, რაიონების, ქალაქებისა და ოლქების განათლების განყოფილებებისა და ასსრ განათლების სამინისტროების ანგარიშგების წესის შესახებ“ 1952 წლის ივნისის № 1488 ბრძანების თანახმად ასსრ განათლების სამინისტროები და განათლების განყოფილებანი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის შედეგების შესახებ ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 15 ივლისამდე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილებს წერილობითი შეხსენება გაეგზავნა, აღნიშნული ანგარიში დღემდის არ წარმოუდგენიათ ქ. რუსთავის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, ტყიბულის, წულუკიძისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებს.

წლიური ანგარიშის ნაცვლად ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფლებას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა ავ-ვისტოს თათბირზე წაკითხული მოხსენების ასლი.

ზოგიერთი ანგარიში ვერ იძლევა სკოლებში ჩატარებული მუშა-

ობის სრულყოფილ სურათს (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ამბროლაურის, ბოლნისის, ზესტაფონის ლაგოდეხის, წალენჯიხის რაიონების განათლების განყოფილებები), ხოლო ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ წარმოადგინა ისეთი ანგარიში, რომელიც გაუგებარია, მაგალითად, ამ განყოფილების ანგარიშში ვკითხულობთ: „გამოცდებზე დაშვებულ იქნა 580 მოსწავლე, არ დაიშვა 1, გამოცდების შედეგად მთლიანად (!) დატოვებულ იქნა 589 მოსწავლე, საშემოდგომო გამოცდები მიეცა 511 მოსწავლეს, საგაზაფხულო დავალება მიეცა 170 მოსწავლეს, ორწლიანი მოსწავლეებიდან შემდეგ კლასში გადავიდა 516 მოსწავლე, მათგან ვერ ასწრებს (!) 142 მოსწავლე“.

ასეთივე გაუგებარი და ბუნდოვანი იყო ქარელის რაიონის განათლების განყოფილების ანგარიში (მაგალითად, განყოფილება იწერებოდა: „საბჭოთა სკოლებზე პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვისა და დახმარების შესაბამისად ქარელის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1955/1956 სასწავლო წელი ერთგვარი წარმატებით დაიწყო ჩვენი რაიონის სკოლების ქსელში“...; „განმტკიცდა მოსწავლეთა შორის კომუნისტური აღზრდა“... „გასული სასწავლო წლის გამოცდილებიდან რაიონის მასწავლებელთა კოლექტივმა დაგმო ყოველგვარი უარყოფილი მოვლენები სასკოლო ცხოვრების სინამდვილიდან და ახალი სასწავლო წლიდან შეუდგა მუშაობას კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დაყენებული ახალი ამოცანების საპასუხოდ“).

ცხადია, ყოველივე ამის გამო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საშუალება არ მიეცა დროულად შეეჯამებინა და განეხილა 1955/1956 სასწავლო წლის შედეგები, შემდგომი მუშაობისათვის დაესახა სათანადო ღონისძიებანი და ანგარიში წარედგინა ზემდგომ ორგანოებში.

არის შემთხვევები, როცა ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პედაგოგიური კადრების აღრიცხვისა და მათი პირადი საქმეების გაფორმებას:

ა) საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1956 წლის № 323 ბრძანებით რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს დაევალა სრულ წესრიგში მოეყვანათ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა შრომის წიგნაკების წარმოების საქმე და 1 მაისამდე სათანადო აქტის გაფორმებით ეს წიგნაკები ჩაებარებინათ სკოლის

დირექტორებისათვის (გამგეებისათვის). იმის გამო, რომ ეს ბრძანება 1 მაისამდე ყველა რაიონს არ ჰქონდა შესრულებული, განათლების სამინისტროს განკარგულებით (1956 წ. 13/VII № 707) შესრულების ვადა 1 სექტემბრამდე გადაიდო და განათლების ადგილობრივ ორგანოებს დაევალა 1956 წ. 1 სექტემბრისათვის წარმოედგინათ მოკლე მოხსენებითი ბარათი ზემოაღნიშნული ბრძანების შესრულების შესახებ.

მიუხედავად ამისა, სამინისტროში ანგარიშები დღემდის არ წარმოუდგენია მთელ რიგ ორგანოებს, მათ შორის აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ჭიათურის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ვანის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, თერჯოლის, თიანეთის, ტყიბულის, ხაშურის, ხობის, ცაგერის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, ჭიათურის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს და სხვ. რაიონების განათლების განყოფილებებს;

ბ) ვადაზე (იხ. 1956 წლის 28 ნოემბრის № 3636 ბრძანება, წარმოდგენის ვადა იყო 1956 წლის 10/XII) არ წარმოუდგენიათ ხელმძღვანელი კადრების რაოდენობისა და შემადგენლობის ერთდროული აღრიცხვის, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შესახებ სტატისტიკური ანგარიშები: აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ჭიათურის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ვანის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, ზესტაფონის, ყაზბეგის, ქარელის, კაჭრეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თეთრიწყაროს, თიანეთის, წალკის, ჭიათურის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს და სხვ. განათლების განყოფილებებს.

ამის გამო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საშუალება არა აქვს დადგენილ ვადებში წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს სტატისტიკური ანგარიშები;

გ) ვადაზე არ წარმოუდგენიათ ცნობები იმ მასწავლებელთა შესახებ, რომლებმაც ასაკის მიხედვით უნდა მიიღონ პენსია (იხ. ბრძანება № 5/4031, 1956 წ. 16 ოქტომბერი, წარმოდგენის ვადა იყო

1 დეკემბერი) ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ყვარლისა და თელავის რაიონის განათლების განყოფილებებს.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადყოფნის შესახებ ადგილებიდან მიღებული ანგარიშებისა და სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმების მასალების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ რიგ სკოლებს არ ჰქონდა მიზიდული ადგილზე სათბობი მასალები საკმაო რაოდენობით. ზოგიერთ რაიონს გეგმით გათვალისწინებული ინვენტარიც არ ჰქონდა დამზადებული და ადგილზე მიზიდული. განათლების განყოფილებებს დაევალა აღნიშნული ნაკლი გამოესწორებინათ და განათლების სამინისტროსათვის მოეხსენებინათ შესრულების შესახებ (შესრულების ვადა იყო 1956 წ. 30/XI). სათბობით სკოლების მომარაგების შესახებ ადგილებს შეხსენებაც გაეგზავნა (იხ. 1956 წ. 17/XII № 9/2128), მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდის პასუხი არ წარმოუდგენია: ქ. ჭიათურის, ქ. გორის, ახალქალაქის, გორის, დმანისის, ლაგოდეხის, მარნეულის, მესტიის, საჩხერის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებს.

ინვენტარის დამზადებისა და ადგილზე მიზიდვის შესახებ ადგილებს შეხსენება გაეგზავნა (იხ. 1956 წ. 17/XII № 9/2127), მაგრამ დღემდის ცნობა არ წარმოუდგენია: ბოგდანოვკის, გარდაბნის გორის, დუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, სიღნაღის, თელავის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებს.

მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ ცნობები უნდა წარმოდგენილიყო 1/X, მაგრამ დღემდე არ წარმოუდგენია: ადიგენის, ამბროლაურის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, მესტიის, თელავის, თერჯოლის, წალენჯიხის და ცხაკაიას რაიონების განათლების განყოფილებებს.

ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება, მიუხედავად მრავალგზის შეხსენებისა, დაგვიანებით ადგენს მეტად საჭირო მასალებს. ასე, მაგალითად:

ა) 1956 წლის მესამე კვარტალში ცნობები მუშაკთა რაოდენობისა და შრომის ხელფასის ფონდის აღრიცხვის შესახებ (ფ. № 51-ბ) უნდა წარმოედგინათ 10 ოქტომბრამდე, ფაქტიურად წარმოადგინეს: ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ 20 ოქტომბერს, გორის

რაიონმა — 24 ოქტომბერს, თერჯოლისა და ჭიათურის რაიონებმა 22 ოქტომბერს, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებამ — 22 ოქტომბერს:

ბ) ბიუჯეტის მაჩვენებლის შესადგენად გამოცხადდეს: ... ბერის რაიონის განათლების განყოფილებიდან 2 ნოემბერს, ნაცვლად 12 ოქტომბრისა, კასპის რაიონიდან — 26 ოქტომბერს, ნაცვლად 16 ოქტომბრისა, თერჯოლის რაიონიდან — 22 ოქტომბერს, ნაცვლად 11 ოქტომბრისა და ა. შ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განემარტოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებებისა და დავალებების შეუსრულებლობა ან დაგვიანებით, არასათანადო პასუხისმგებლობით შესრულება ყოვლად შეუწყნარებელია, ვინაიდან ეს იწვევს დისციპლინის უხეშ დარღვევას, ზიანს აყენებს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მუშაობაზე როგორც კონტროლის, ისე ხელმძღვანელობის საქმეს.

2. წინადადება მიეცეს აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს ერთი თვის ვადაში გამოასწორონ აღნიშნული ნაკლოვანებები და ამ მიმართულებით მიიღონ სათანადო ზომები.

3. სამინისტროს ბრძანების, განკარგულების, მითითებების, დავალების შეუსრულებლობის, ზერელედ ან უპასუხისმგებლოდ შესრულების თვითეული შემთხვევა განხილულ იქნას კოლეგიის სხდომაზე დამნაშავის მიმართ ზომების მისაღებად.

დაევალოს სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებს თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას და შედეგი მომახსენონ 1957 წლის 22 მაისს.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 155

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1957 წ. 15 თებერვალი

ქუთაისის რაიონის სოფ. რიონის საშუალო სკოლის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ 1957 წლის 17 იანვარს, ღამის 3 საათზე, ქუთაისის რაიონის სოფ. რიონის საშუალო სკოლის შენობაში გაჩნდა ხანძარი და მთლიანად დაიწვა სკოლის შენობა, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 200,000 მანეთს; შენობასთან ერთად დაიწვა სკოლის ინვენტარი და სასწავლო კაბინეტების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) ხელსაწყო-იარაღები 38,000 მანეთად ღირებული. სულ ხანძრისაგან მიყენებული ზარალი შეადგენს 290,000 მანეთს.

გადარჩა მხოლოდ აგურის კედლები, ნაწილობრივ ინვენტარი (სალარო 3 ცალი, საწერი მაგიდა—2 ცალი, სკამები—17 ცალი, კარადა—3 ცალი), საბუხჰალტრო საბუთები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები. დადასტურებულია, რომ ხანძარი გაჩნდა მეორე სართულზე სკოლის იმ ნაწილში, სადაც 1946 წელს ხის მასალისაგან მიშენებული იყო 4 ოთახი. სკოლის დარაჯს ლევან ანდრიას-ძე მორჩაძეს ეძინა და ხანძარი შეამჩნია ღამის 3 საათზე, როდესაც შენობა თითქმის დამწვარი იყო.

ხანძარსაწინააღმდეგო ხელსაწყოიარაღებით სკოლის შენობა უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ იარაღები ხანძრის დროს ვერ გამოიყენეს. 17/I-დან 21/I-მდე სკოლაში მეცადინეობა არ მიმდინარეობდა, მეცადინეობა განახლდა 21/I, ამჟამად სკოლა მოთავსებულია სოფლის საბჭოს და ჩაის მიმღები პუნქტის შენობებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისის რაიონის სოფ. რიონის საშუალო სკოლის დირექტორი აკ. ბოჭორიშვილი, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო სკოლაში ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება, რის შედეგად და-

იწვა სკოლის შენობა და სასკოლო ინვენტარი, მოიხსნას სამუშაოდან.

2. ქ. ქუთაისის რაიონის სოფ. რიონის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. გ. უკლება, რომელიც სუსტად ზელმძღვანელობდა ნორჩ მეხანძრეთა რაზმის მუშაობას, სკოლაში დირექტორის არყოფნის დროს 17 იანვარს, არ მიიღო საჭირო გამაფრთხილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ზომები, რასაც შედეგად მოჰყვა ხანძარი, მოიხსნას სამუშაოდან.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ს. რიონის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამნეო ნაწილში მ. მორჩაძე რაიონის ორგანოების მიერ მოხსნილია სამუშაოდან.

4. დაევალოს რესპუბლიკის სკოლების დირექტორებს (გამგეებს) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას.

5. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს ამხ. ა. ღადუას ა/წ 20 თებერვლამდე წარმოადგინოს სოფ. რიონის საშუალო სკოლის შენობის აღდგენისათვის ტექნიკური დოკუმენტაცია.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 159

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1957 წლის 16 თებერვალი

ხაშურის რაიონის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ამხ. კ. მესხის ანგარიშს და განათლების სამინისტროს ინსპექტორთა ბრიგადის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მასალებს რაიონის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ სკოლას პოლიტექნიკური სწავლების საქმეში ერთგვარი მიღწევები აქვს მოპოვებული. შეფ-ორგანიზაციების დახმარებით სკოლებში მოწყობილია 3 საზეინკლო, 11 სადურგლო და 14 კომბინირებული სახელოსნო.

პოლიტექნიკური სწავლების შუქზე კარგადაა დაყენებული ქიმიის სწავლება ხაშურის პირველ საშუალო სკოლაში (მასწ. დ. ჩიქოვანი). სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ქიმიის კაბინეტი. კაბინეტში ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა ცდა და პრაქტიკული სამუშაოები.

ყურადღებას იპყრობს მოსწავლეთა თვითნაკეთობანი და ჩატარებული ექსკურსიის შედეგად შეგროვილი ექსპონატები. მასწავლებელი მოხდენილად უკავშირებს საგნის სწავლებას წარმოების საფუძვლების გაცნობას, სათანადოდ ავარჯიშებს მოსწავლეებს საწარმოო შინაარსის ამოცანების ამოხსნაზე.

ბიოლოგიისა და ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის სწავლებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობებია შექმნილი გომის საშუალო სკოლაში (მასწ. სამნიაშვილი). აქ ცდებისა და დაკვირვებათა შედეგად სიმინდის 20 სხვადასხვა ჯიშიდან ნორჩმა ნატურალისტებმა ორი ჯიში შეარჩიეს ადგილობრივი პირობებისათვის. კოლმეურნეობამ გამოსცადა ეს ჯიშები და მაღალი მოსავალი მიიღო. გარდა ამისა,

სკოლამ ადგილობრივ პირობებში გასავრცელებლად შეარჩია კარტოფილის ჯიში „ვარდისფერი“. კოლმეურნეობამ სკოლის ეს გამოცდილებაც დანერგა პრაქტიკაში. სკოლა უზრუნველყოფილია ნაკვეთზე მუშაობისათვის საჭირო იარაღებით, სათესლე მასალით, მინერალური სასუქებით, შხამ-ქიმიკატებით და სხვ. მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ პრაქტიკული ხასიათის ისეთი ჩვევები, როგორიცაა კვლების გაკეთება, ხეხილის გასხვლა, სასუქების შეტანა, სიმინდის დამატებითი დამტვერვა, სათესლე მასალის შერჩევა და სხვ. ასევე კარგად არის გამოყენებული სწავლების პროცესში სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი ვაყის და ალის საშუალო სკოლებში.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო სახელოსნოს პრაქტიკული მეცადინეობა ხაშურის პირველ საშუალო სკოლაში (მასწ. ვ. ხარაბაძე). სახელოსნო აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყო-იარაღითა და ინსტრუმენტით. მოსწავლეები სახელოსნოში ამზადებენ ხისა და ლითონის სკოლისათვის საჭირო სხვადასხვა ნაკეთობებს.

კარგადაა მოწყობილი მანქანათმცოდნეობის კაბინეტი სურამის II საშუალო სკოლაში (მასწავლებლები ა. ბლიაძე და ა. გვილია). აქ საზეინკლო სახელოსნოსა და ავტო-საქმის კაბინეტისათვის გამოყოფილია ერთი დიდი ოთახი. კაბინეტსა და სახელოსნოს აქვს სხვადასხვა სახის ჩარხები, დაზგები, ხელსაწყო-იარაღები და ინსტრუმენტები, ავტომობილის ყველა ძირითადი კვანძი, მექანიზმი და პლაკატები.

მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ხაშურის რაიონის ბევრი სკოლის მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

ტეზრის შვიდწლიან სკოლაში ცუდად არის დაყენებული (მასწავლებელი გ. ბაღათური) პრაქტიკული მეცადინეობა სახელოსნოში. სახელოსნო სათანადოდ არ არის მოწყობილი. მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანს. იგი ვერ ანაწილებს სამუშაოს მოსწავლეთა შორის, დაუფლებული არაა ნახაზების აგებას, სკოლაში ვერ ნახავთ მოსწავლეთა თვითნაკეთ ხელსაწყო-იარაღებს.

ალის საშუალო სკოლაში (დირექტორი აკ. ნოზაძე) სახელოსნოს მეტად მცირე ფართობი უჭირავს. აქ არ ხერხდება ყველა მოსწავლის ჩაბმა პრაქტიკულ საქმიანობაში, შეუძლებელია სახელოსნოში საზეინკლო სამუშაოთა შესრულება ხელსაწყოთა უქონლობის გამო. სუსტად არის დაყენებული სასწავლო სახელოსნოში პრაქტიკული მუშა-

ობა ხაშურის II საშუალო სკოლაში (მასწ. ქ. ჩხიკვაძე). მასწავლებელი არ არის დაუფლებული საგანს და სწავლების პროცესში იმ მინიმალურ შესაძლებლობასაც კი ვერ იყენებს, რაც სკოლას გააჩნია.

ალის საშუალო სკოლაში (მასწ. ქ. ნოზაძე) მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმი ისწავლება ზეპირსიტყვიერად, თვალსაჩინოების გარეშე. სკოლამ გომის მტს-დან მიიღო ტრაქტორი, მაგრამ იგი სწავლების პროცესში არ არის გამოყენებული. ამ სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან შიდაწვის ძრავის მოქმედების პრინციპები, ვერ ერკვევიან ტაქტებში და იმ პროცესებში, რომლებიც ძრავაში მიმდინარეობს, არ იციან ტემპერატურისა და წნევის ცნებები. ახალი მასალა „გაზ-გამანაწილებელი მექანიზმი" მასწავლებელმა ძლიერ მოკლედ და ზერელედ ახსნა. მან არ გამოიყენა მის განკარგულებაში არსებული თვალსაჩინოება. დაბალ დონეზე დგას ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის სწავლება. შესაბამისი მატერიალური ბაზის უქონლობის გამო ზოგიერთ სკოლაში ფაქტიურად არ ტარდება პრაქტიკუმები.

ხაშურის პირველი და სურამის მეორე საშუალო სკოლები, საკუთარი ბაზის უქონლობის გამო, სწავლების პროცესში იყენებენ ადგილობრივ საწარმოო ბაზებს (ხაშურის საელმავლო დეპო, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, სურამის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლა).

ტეზრის შვიდწლიან სკოლას არა აქვს ბიოლოგიის კაბინეტი და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი (მასწავლებელი გ. ბალათური). სკოლაში ცუდად მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრე. აქ დღემდე არ ჩატარებულა არცერთი ექსკურსია. მასწავლებელი ბალათური საკმაოდ არ არის დაუფლებული საგანს, მოსწავლეებს იგი ბუნდოვან განმარტებებს და მცდარ დებულებებს აწვდის.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიისა და ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის სწავლების საქმე ხაშურის II საშუალო სკოლაში (მასწავლებლები ვ. ბერძენიშვილი, ქ. ჩხიკვაძე). კაბინეტის განკარგულებაში არსებული მცირეოდენი მოწყობილობაც კი მოუვლელი და გამოუყენებელია.

სკოლის მიწის ნაკვეთი არ არის კეთილმოწყობილი, არ ტარდება მასზე რაიმე სახის პრაქტიკული მუშაობა, არ ჩანს ნორჩ ნატურა-

ლისტთა მუშაობა სკოლაში, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და დაკვირვებები.

სუსტად ასწავლის სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმს ბოლის საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. ნოზაძე. იგი საკმაოდ არ ფლობს დაუფლებული სოფლის მეურნეობის ძირითად საფუძვლებს, არ ატარებს ექსკურსიებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და პრაქტიკუმის ჩატარებას მხოლოდ თეორიული საუბრებითა და სასკოლო მუშაობით ამოწურავს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია ხაშურის II საშუალო სკოლაში (მასწ. ვ. ჯორჯიშვილი). კაბინეტი არაა მოწყობილი დგამ-ავეჯითა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარით. ღარიბია კაბინეტი ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით, არ არის მოსწავლეთა თვითნაკეთობანი.

ხაშურის რაიონის განათლების განყოფილება არ ახორციელებს თანმიმდევრულ ღონისძიებებს მოსწავლეებში სახელმწიფო ქონებისადმი გულისხმიერი მოპყრობის ჩვევების დასანერგავად. ამიტომაა, რომ ნაადრევად ზიანდება სკოლის შენობები, იმტვრევა, ფუჭდება და მწყობრიდან გამოდის სასკოლო დგამ-ავეჯი.

ხაშურის რაიონის განათლების განყოფილებამ სათანადო თაოსნობა არ გაუწია სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობის მტკიცე ჩვევების გამომუშავების საქმეში მახარაძის მეორე საშუალო სკოლის გამოცდილების დანერგვას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ხაშურის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე კ. მესხი):

1. მიიღოს ყველა ზომა ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც მიაღწიოს სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შევსებას; საქმიანი კავშირი დაამყაროს შეფ-ორგანიზაციებთან და მათი აქტიური დახმარებით უზრუნველყოს რაიონის სკოლებში პოლიტიკური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნა;

2. ღრმად შეისწავლოს პოლიტექნიკური სწავლების საქმეში სკოლებისა და მასწავლებლების მიერ დაგროვილი მოწინავე გამოცდილება და ფართოდ განაზოგადოს იგი;

3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტი მასწავლებლების მუშაობას. გაუწიოს მათ მე-

თოდური დახმარება, უზრუნველყოს მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების ამაღლება; სასწავლო წლის დასრულებისას, შემოწმების შედეგების მიხედვით, გაატაროს მათ მიმართ საჭირო ღონისძიებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მოსწავლეებში სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობის მტკიცე ჩვევების აღზრდის დასანერგავად უზრუნველყოს რაიონის სკოლების საქმიანი გამოხმაურება მახარაძის მეორე საშუალო სკოლის მოწოდებისადმი, ისე, რომ ყველა სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი კონკრეტული მოთხოვნები მოსწავლეთა ყოფაქცევისადმი, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს უდისციპლინობას, სასკოლო ქონებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას; სანიმუშოდ მოუაროს სასკოლო შენობას, დგამ-ავეჯს, სასწავლო ინვენტარს, თავიდან აიცილოს მათი ყოველწლიური რემონტი და სახელმწიფოს სახსრების ეს დანაზოგი მოახმაროს სკოლის მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 8 თებერვლის დადგენილება.

საქაროველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 160

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 16 თებერვალი

ხაშურისა და ქარელის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ხაშურისა და ქარელის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ სკოლას ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

კარგად მუშაობენ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ვ. ქვრივიშვილი (ხაშურის პირველი საშუალო სკოლა), მ. გლუნჩაძე (ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლა), ვ. ლონღაძე (ხაშურის რაიონის ალის საშ. სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები — ვ. ნეროდენკო (ხაშურის II საშ. სკოლა), ლ. გოროდინსკაია (ხაშურის რაიონის სურამის მეორე საშ. სკ.), ლ. აბაშიძე (ქარელის საშუალო სკოლა), ც. მაჭავარიანი (ქარელის რაიონის ბრეთის საშუალო სკოლა), მათემატიკის მასწავლებელი ა. მჭედლიძე (ალის საშ. სკ.), ქიმიის მასწავლებელი დ. ჩიქოვანი (ხაშურის I საშ. სკ.), ფიზიკის მასწავლებელი გ. ლობჟანიძე (ქარელის რაიონის მოხისის საშ. სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებლები — კ. სამნიაშვილი (ხაშურის რაიონის გომის საშ. სკ.), ნ. მარტინენკო (ალის საშუალო სკოლა), ისტორიის მასწავლებელი გ. კუთხაშვილი (ქარელის რაიონის ბრეთის საშ. სკ.), ინგლისური ენის მასწავლებელი მ. კეშელავა (ხაშურის II საშუალო სკოლა).

მაგრამ ხაშურისა და ქარელის რაიონების ბევრი სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ალის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ვ. ნოზაძე და რ. ლოლაძე უპასუხისმგებლოდ ეკი-

დებიან დაკისრებულ მოვალეობას, მოუმზადებლად შედიან გაკვეთილებზე, ცუდად ატარებენ წერით სამუშაოებს და უგულისყოფოდ ასწორებენ ნამუშევრებს. შეუწყნარებლად დაბალია ამ სკოლის მოსწავლეთა მომზადების დონე. ასევე სუსტად მუშაობენ ხაშურის და ქარელის რაიონის დირბის საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. ციცქიშვილი და მ. მაზმიშვილი.

ძალზე დაბალ დონეზე დგას რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება ქარელის რაიონის რუისის საშუალო სკოლის VIII—IX კლასებში. მასწავლებელი ს. მამესწარაშვილი (მას არ აქვს უმაღლესი განათლება) სუსტად ფლობს რუსულ ენას, არ ემზადება გაკვეთილებისათვის და ვერ ახერხებს გაკვეთილების ახსნას სახელმძღვანელო წიგნის დაუხმარებლად. ანალოგიური მდგომარეობაა დირბის საშუალო სკოლის IX—XI კლასებში (მასწ. ზ. ჩუბინიძე), ხაშურის მეორე საშუალო სკოლის VII—IX კლასებში (მასწ. ნ. კიკნაძე), ქვიშხეთის საშუალო სკოლის VI—VII კლასებში (მასწ. გ. ნოზაძე). აღნიშნული მასწავლებლები ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა მიერ სიტყვების სწორ გამოთქმას, მახვილის მართებულად ხმარებას, მხატვრულ კითხვას, გულდასმით არ ასწორებენ საკონტროლო წერით ნამუშევრებს და შეუმჩნეველი რჩებათ მოსწავლეთა მიერ დაშვებული უხეში შეცდომები.

სუსტად იცის ენა დირბის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელმა თ. ბერიძემ.

ხაშურის რაიონის ტეზრის შვიდწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვ. ჩიტიაშვილი არ მუშაობს თავის თავზე და არ ემზადება გაკვეთილებისათვის. იგი გაკვეთილის გეგმას ადგენს ფორმალურად, საშინაო დავალებად მიცემულ და კლასში ამოსახსნელ სავარჯიშოებს წინასწარ არ ხსნის. VII კლასში მასწავლებელმა არ იცოდა ალგებრაში რა ჰქონდა მიცემული მოსწავლეებს საშინაო დავალებად. კლასში ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო სამის, რვის და თერთმეტის საერთო უმცირესი ჯერადის პოვნა. გაუძნელდათ 120-ის გაყოფა 8-ზე. მასწავლებელი საკონტროლო წერებს წინასწარ მომზადების გარეშე ატარებს და მოსწავლეთა ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებს.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე გეომეტრიაში ქვიშხეთის საშუალო სკოლაში (მასწ. მ. ხიზანიშვილი), ალგებრაში ხაშუ-

რის II საშუალო სკოლის VIII კლასში (მოსწავლეები ქ. ზეთი-
რიშვილი).

სუსტად არის დაყენებული ფიზიკის სწავლება ქვიშხეთის
საშუალო სკოლაში. დამწყები მასწავლებელი ივ. ნოზაძე ვერ
ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. X კლასში ნოზაძემ
ვერ მისცა მოსწავლეებს სითხის ზედაპირული დაჭიმულობის კოე-
ფიციენტის ზუსტი განმარტება, მასწავლებელი არასწორად წერს
ფიზიკური სიდიდეების განზომილებებს. ასევე, სუსტად არის დაყე-
ნებული ფიზიკის სწავლება გომის საშუალო სკოლაში (მასწ. თ. ლო-
მიძე). მასწავლებელი არ ატარებს ლაბორატორიულ სამუშაოებს,
საკონტროლო წერებსა და ექსკურსიებს.

რუისის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ი. ბუ-
ზიაშვილი გაკვეთილს მოუმზადებლად ატარებს, უშვებს შეცდო-
მებს. მოსწავლეებს არ გააჩნიათ გაკვეთილის გადმოცემის, რუკის
კითხვისა და რუკაზე სწორად ორიენტირების უნარი. დაბალი
მომზადება გამოამჟღავნეს გეოგრაფიაში გომის საშუალო სკოლის
მოსწავლეებმა (მასწავლებელი ო. ხაჩიძე). ხაშურისა და ქარელის
რაიონების სკოლებს არ აქვთ კონტურული რუკები, სკოლებში არაა
მოწყობილი გეოგრაფიის მოედნები და არ სრულდება პროგრამით
გათვალისწინებული პროდუქტიული სამუშაოები.

დაბალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებენ ისტორიაში ქვიშხე-
თის, რუისის ხაშურის II, აგარის საშუალო სკოლების მასწავლებ-
ლები პ. ტყემალაძე, ი. ნასყიდაშვილი, ნ. გოგოლაძე და მ. მესხი.

სუსტად მუშაობს ქვიშხეთის საშუალო სკოლის ინგლისური ენის
მასწავლებელი თ. თარგამაძე (დამთავრებული აქვს ა. პუშკინის
სახელობის სამასწ. ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტი).
მოსწავლეთა ცოდნა ძალზე დაბალია, არ იციან კითხვა, ვერ ერკვე-
ვიან მარტივ გრამატიკულ მოვლენებში. თვით მასწავლებელი
უშვებს უხეშ შეცდომებს გამოთქმებში, არა ჰყავს კლასი ჩაბმული
მუშაობაში, არ იყენებს დაფას, გამოკითხვისას კმაყოფილდება
მხოლოდ კითხვითა და თარგმნით, საკონტროლო წერით ნამუშევრებს
ყურადღებით არ ასწორებს.

სუსტად არის დაყენებული ბიოლოგიის და სოფლის მეურნეობის
პრაქტიკუმის სწავლების საქმე ქარელის რაიონის რუისის საშუალო
სკოლაში (მასწავლებელი რ. გურასპაშვილი). სკოლას აქვს ბიოლო-
გიის კაბინეტი და სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, მასწავლებელი

საკმაოდ არ არის დაუფლებული საგანს, არ ატარებს პრაქტიკულ სამუშაოებს და პროგრამით გათვალისწინებულ ცდა-დაკვირვებებს. ასევე ცუდად ატარებს იგი სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის კვეთილებს. სკოლას არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და აღნიშნული საგნების სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს.

ასევე არადამაკმაყოფილებლად არის დეყენებული ბიოლოგიისა და ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის სწავლების საქმე დირბის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ბ. კალმახელიძე).

აგარის საშუალო სკოლის რუსული სექტორის მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელი ქს. დოგუზოვა არ არის დაუფლებული საგანს, არ იცნობს სასწავლო პროგრამას, ვერ ახერხებს გაკვეთილის ახსნას. მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმი ალის საშუალო სკოლაში (მასწ. ქ. ნოზაძე) ისწავლება ზეპირსიტყვიერად, თვალსაჩინოების გარეშე. სკოლამ გომის მტს-დან მიიღო ტრაქტორი, მაგრამ იგი სწავლების პროცესში არ არის გამოყენებული.

ზოგიერთ სკოლაში შესაბამისი მატერიალური ბაზის უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის ჩატარება.

ძალზე დაბალ დონეზეა დაყენებული სასწავლო სახელოსნოში პრაქტიკული მუშაობა ქარელის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. გონგლიაშვილი). სახელოსნო მოუწყობელი და ღარიბია, ხელსაწყო-იარაღები ვერ უზრუნველყოფს ერთი ქვეკლასის მეცადინეობასაც კი. სახელოსნო არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო მასალებით. მასწავლებელი არ ადგენს გაკვეთილის გეგმას არ აძლევს ესკიზის ელემენტებს.

სახელოსნოში არ არის დაცული უსაფრთხოების ტექნიკა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

შემოწმებული სკოლებიდან სრულებით არა აქვთ სასწავლო სახელოსნოები დირბის (დირექტორი დ. გიკაშვილი), ბრეთის (დირექტორი ი. ბაბლიძე) და გომის (დირექტორი გ. ნოზაძე) საშუალო სკოლებს.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. მეორე მეოთხედის ბოლოს ქარელის სკოლების 8571 მოსწავლიდან ასწრებდა 6290 (75%), ხაშურის რაიონის სოლების 8310 მოსწავლიდან — 6337 (77%). უფრო ცუდი მდგომარეობაა ქარელის რაიონის ცალ-

კეულ სკოლებსა და კლასებში. მოხისის საშუალო სკოლაში მოსწავლიდან ასწრებს 203 (70,7%), რუისის საშუალო სკოლაში 531-დან — 371 (71,3%), ქარელის საშუალო სკოლის VII კლასში შეფასებულ 35 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 18, VIII კლასში 36 მოსწავლიდან — 17.

ცუდად არის დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა. II მეოთხედის შედეგად ქარელის რაიონის შემოწმებული ექვსი სკოლიდან ვერ ასწრებს 91 მეორეწლიანი მოსწავლე, ხაშურის რაიონის 7 სკოლიდან 85. რიგ სკოლებში არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შემოწმებას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა. ქარელის საშუალო სკოლაში ვერ ასწრებს 70 კომკავშირელი, 51 პიონერი, რუისის საშუალო სკოლაში—19 კომკავშირელი, 40 პიონერი, ხაშურის პირველ საშუალო სკოლაში—17 კომკავშირელი, 62 პიონერი. აგარის საშუალო სკოლის დირექტორ მ. ზამთარაძეს კომკავშირელ და პიონერ მოსწავლეთა წარმატების შესახებ ცნობებიც კი არა აქვს.

არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლებს ქარელის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ბ. დაბრუნდაშვილი). რაიონში არსებული 11 საშუალო, 19 შვიდწლიანი და 52 დაწყებითი სკოლიდან მ/წელს შესწავლილია მხოლოდ 3 საშუალო და 2 შვიდწლიანი სკოლის მუშაობა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ხაშურის რაიონში. განათლების განყოფილებას (გამგე კ. მესხი) მ/სასწავლო წელს შესწავლილი აქვს 9 საშუალო, 4 შვიდწლიანი და 22 დაწყებითი სკოლის მუშაობა. ბრძანებები სკოლების მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე მიღებული აქვს რაიონის ყველა სკოლას.

ქარელისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებები და სკოლები სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საქმეს, არსებითად არ სწავლობენ მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის მიზეზებს და არ ღებულობენ ეფექტურ ზომებს განთესვის თავიდან ასაცილებლად, სკოლიდან გასული მოსწავლეების სწავლებაში ჩასაბმელად. ქარელის რაიონის სკოლებში სახალხო მეურნეობის გეგმით წელს უნდა იყოს 9377 ბავშვი. ფაქტიურად კი რაიონის სკოლებში 8848 მოსწავლეა (გეგმის შესრულებას აკლია 529). ხაშურის რაიონის სკოლებში 8704 ბავშვის ნაცვლად სწავლებაში ჩაბმულია 8375 ანუ 329 ბავშვით ნაკლები.

პედაგოგიურად და მეთოდურად გაუმართლებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი ხაშურის II (დირექტორი დ. კაკიაშვილი), ალის (დირექტორი ა. ნოზაძე), დირბის (დირექტორი დ. ბერკაშვილი), რუისის (დირექტორი გ. კავლელაშვილი) საშუალო სკოლებში. აღნიშნულ სკოლებში აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. პირველი და მეორე მეოთხედების ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ზერელედ არის განხილული მეოთხედის შედეგები, არ არის გაკეთებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზი.

სუსტად არის დაყენებული შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე. მ/სასწავლო წელს მოსმენილი აქვთ გაკვეთილები: ქარელის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეებს მ. ალანდაძეს — 23, ა. კირკიტაძეს — 17, რუისის საშუალო სკოლის დირექტორ გ. კავლელაშვილს — 25, სასწავლო ნაწილის გამგე ი. მულალაშვილს — 29, დირბის საშუალო სკოლის დირექტორ გიკაშვილს — 41, სასწავლო ნაწილის გამგე ლ. მურაჩაშვილს — 49. გარდა იმისა, რომ სკოლების დასახელებული ხელმძღვანელები მეტად იშვიათად ესწრებიან მასწავლებელთა გაკვეთილებს, ისინი სათანადო ანალიზს არ უკეთებენ მოსმენილ გაკვეთილებს და საჭირო მითითებებს არ აძლევენ მასწავლებლებს. ზოგჯერ სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილს გამგე ერთი და იგივე სპეციალობისაა. მაგ., რუისისა და მოხისის საშუალო სკოლების დირექტორები და სასწ. ნაწილის გამგეები გეოგრაფები არიან, ხოლო ქვიშხეთის საშუალო სკოლის დირექტორი და სასწ. ნაწილის გამგე — ქართული ლიტერატურის სპეციალისტები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის და ქარელის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (კ. მესხი და ბ. დაბრუნდაშვილი):

ა) მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებაზე, ზუსტად აღრიცხონ სასკოლო ქსელში ჩასაბმელ მოსწავლეთა რაოდენობა, მიიღონ გადაწყვეტილი ზომები ახალი სასწავლო წლიდან სწავლებაში მათ ჩასაბმელად და არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა უმიზეზოდ გასვლის შემთხვევები;

ბ) გააუმჯობესონ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სისტემატურად აწარმოონ სკოლების მუშაობის შესწავლა, დროულად დაამუშაონ შესწავლების მასალები, დასახული პრაქტიკული ღონისძიებანი დაიყვანონ სკოლებამდე და უზრუნველყონ მათი განხორციელება;

გ) აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის და მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის მაღალხარისხოვნად ათვისების საქმეში;

დ) გააძლიერონ საშეფო ორგანიზაციების და სკოლების ურთიერთ კავშირი სასწავლო სახელოსნოების, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა წრეების მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ თითოეული მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის; უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარება. ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში ხელსაწყოების თვითკეთების საქმე და ხელი შეუწყონ ამ ხელსაწყოების პრაქტიკულად გამოყენებას ლაბორატორულ მუშაობაში;

გ) სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, უზრუნველჰყონ მათი მომზადების დონის ამაღლება.

3. ქარელის და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ბ. დაბრუნდაშვილი, კ. მესხი) მკაცრი სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს და სკოლის ხელმძღვანელობას, მტკიცე კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე და თუ ისინი არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას სას-

წავლო წლის ბოლოს, სათანადო წესის დაცვით დააყენონ საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

4. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) ქარელის რაიონის სკოლებისა და რაიონის განათლების განყოფილებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად ხანგრძლივად მიავლინოს ორი გამოცდილი მუშაკი.

5. ქარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ბ. დაბრუნდაშვილს სკოლებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 8 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 373/კ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 16 თებერვალი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ლონისძიებათა 1956 წლის შედეგებისა და 1957 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.

გავეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ 1956 წელს მოწყობილ დახელოვნების კურსების მუშაობის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ გასულ წელს ინსტიტუტმა წარმატებით ჩაატარა განათლების მუშაკთა (მასწავლებლების, სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეთა, სასკოლო ინსპექტორების და სხვ.) დახელოვნების კურსები და საგრძნობლად ამაღლდა მათი მუშაობის ხარისხი. ინსტიტუტმა გადაჭარბებით შეასრულა დახელოვნების კურსების მსმენელთა კონტინგენტის 1956 წლის გეგმა (დახელოვნების კურსები გაიარა 5169 მუშაკმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 5.000-სა).

ინსტიტუტმა სკოლის წინაშე სკკპ XX ყრილობის მიერ დაყენებული ახალი ამოცანების შესაბამისად გადაამუშავა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები, საჭირო ინსტრუქციები და მეთოდური მითითებანი, გააუმჯობესა ლექტორთა შემადგენლობა, შეიძინა სასწავლო ხელსაწყო-იარაღები, დიდაქტიკური მასალები, დროულად აცნობა განათლების განყოფილებებს კურსების სახეები, მუშაობის დრო, ადგილი და კონტინგენტი.

გასულ წელს დახელოვნების კურსების მუშაობის სისტემაში ინსტიტუტმა მეტი ადგილი დაუთმო მსმენელთა დამოუკიდებელ პრაქტიკულ მეცადინეობას, საგნობრივი და მეთოდური პრობლემების დამუშავებაში მსმენელთა აქტიური მონაწილეობისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელება-დანერგვას. განსაკუთ-

რებით ქმედითი დახმარება გაუწია სკოლის მასწავლებლებს პოლიტექნიკური ციკლის დისციპლინების (ხელგარჯილობის, შრომისა და პრაქტიკული მეცადინეობის, სოფლის მეურნეობის, მანქანამცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების) სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში. პოლიტექნიკური სწავლების ციკლის დისციპლინებში გეგმით გათვალისწინებული 1050 მასწავლებლის ნაცვლად კურსებზე გადამზადდა 1288 მასწავლებელი.

ინსტიტუტმა მეტი ყურადღება მიაქცია საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული არაქართული სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების საქმეს. კურსებზე გადამზადებულ იქნა რუსული სკოლების 622, სომხური სკოლების 76, აზერბაიჯანული სკოლების 116, აფხაზური სკოლების 32 და ოსური სკოლების 108 მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტმა გასულ წელს პირველად მოაწყო სოფლისა და მუშა-ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების დახელოვნების სპეციალური კურსები.

ინსტიტუტმა ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის რესპუბლიკის 19 ქალაქსა და რაიონში მოაწყო სარაიონთაშორისო ორდღიანი მეთოდსემინარები, რომელსაც დაესწრო 5.600 მასწავლებელი.

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აბაშის, ბორჯომის, გორის, ზუგდიდის, მარნეულის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, ხაშურის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა საგრძნობლად გააძლიერეს ზრუნვა სკოლის მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და უზრუნველჰყვეს კურსების მსმენელთა კონტინგენტის სწორად შერჩევა და კურსებზე მათი დროულად მივლინება.

საკურსო ღონისძიებათა ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც:

ინსტიტუტის მიერ კურსების მსმენელთა კონტინგენტის საერთო გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ქალაქების — თბილისისა და გორის, აგრეთვე ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ყაზბეგის, დუშეთის, წალკის, ვანის, მახარაძის, მესტიის, ჩოხატაურის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველჰყვეს მათზე მიცემული კურსების მსმენელთა კონტინგენტის გეგმის შესრულება და არ მიიღეს საჭირო ზომები

იმ მუშაკთა მიმართ, რომლებმაც თავი აარიდეს კურსებზე წასვლას. ადგილი ჰქონდა კურსებზე გასაგზავნი მუშაკების არასწორად შერჩევისა და კურსებზე დაგვიანებით მივლინება-გამოცდილების შემთხვევებს.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია კურსების მსმენელთა მონაწილეობა საგნობრივი და მეთოდური პრობლემების დამუშავებაში, კურსებისათვის განკუთვნილ სასწავლო გეგმებში არასაკმაო დრო აქვს დათმობილი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელება-დანერგვას. სასწავლო გეგმებში არ იყო გათვალისწინებული საჭირო დრო კურსების მსმენელთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის.

ზოგიერთი მსმენელი საჭირო მონდომებით არ მუშაობდა კურსებზე, რის გამოც დახელოვნების კურსები ვერ დაამთავრა 96 მსმენელმა.

დახელოვნების ზოგიერთი კურსები სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარითა და კომუნალური მომსახურებით, მეთოდური და პერიოდული ლიტერატურით, ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით. ზოგიერთ კურსებზე სათანადოდ არ იყო მოგვარებული მსმენელთა კვების საკითხი.

სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დახელოვნების ინსტიტუტმა დღემდე ვერ მოაწყო მუდმივი პედაგოგიური გამოფენა და ვერ შესძლო პოლიტექნიკური სწავლების მეთოდკაბინეტის სასწავლო სახელოსნოების მოწყობის დამთავრება.

მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გ. ასპინძელაშვილს:

ა) 1957 წლის განმავლობაში დახელოვნების დიფერენცირებული (ორკვირიანი, ერთთვიანი, თვენახევრიანი) კურსების საშუალებით უზრუნველჰყოს 4.000 მასწავლებლისა და განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება თანდართული განრიგის მიხედვით (დანართი № 1, № 2, № 3, № 4);

ბ) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის

მიერ სკოლის წინაშე დაყენებული ამოცანებისა და სკოლის ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად გადაამუშაოს დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები, პროგრამები და ინსტრუქციები ულად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საკურსო ღონისძიებათა ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების (ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიისა და უცხო ენების) სწავლების მეთოდიკის საკითხებს, იზრუნოს იმისათვის, რომ დახელოვნების კურსებმა ქმედითი დახმარება გაუწიოს სკოლის მუშაკებს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოზარდი თაობის პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადების საქმეში;

დ) მიიღოს საჭირო ზომები ინსტიტუტის პოლიტექნიკური სწავლების მეთოდკაბინეტის ხეზე და ლითონზე მუშაობის სახელოსნოების, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის ლაბორატორიების მოწყობის დროულად დასამთავრებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პოლიტექნიკური ციკლის დისციპლინების (ხელგარჯილობის, შრომისა და პრაქტიკული მეცადინეობის, მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების) მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მუშაობას;

მასწავლებელთა დახელოვნების კურსების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ლექციების ხარისხის ასამაღლებლად, მეტი ყურადღება მიაქციოს პრაქტიკული მეცადინეობისა და სემინარული მუშაობის ჩატარებას, კურსების მსმენელთა პრაქტიკული მუშაობა-გამოცდილების საფუძველზე მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელება — დანერგვას და სასწავლო-მეთოდური ხასიათის ექსკურსიების მოწყობას;

ე) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი დახელოვნების კურსების ყველა მსმენელის საცხოვრებელი ბინებით, სამეცადინო ოთახებით, სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით, დიდაქტიკური მასალებით უზრუნველყოფისა და მსმენელთა კვების საკითხის გაუმჯობესებისათვის;

ვ) დროულად აცნობოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქები-

სა და რაიონების განათლების განყოფილებებს 1957 წელს მოსაწყობი კურსების სახეები, დრო, ადგილი და კურსებზე მათ მიერ მისავლინებელი კონტინგენტი;

ზ) დახელოვნების კურსებზე საგნის არმცოდნე, სტატისტიკურ ცალებლების გამოვლინების შემთხვევაში მასალები მათ შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საჭირო ზომების მისაღებად;

თ) ქმედითი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ქუთაისის ფილიალს საკურსო ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში.

2 აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სკოლის მუშაკთა პედაგოგიურ-მეთოდიკური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკურსო ღონისძიებათა 1957 წლის გეგმის შესრულებას, გულდასმით შეარჩიონ კურსებზე მისავლინებელი სახალხო განათლების მუშაკები, 2 — 3 თვით ადრე აცნობონ მათ კურსებზე გაგზავნის შესახებ, უზრუნველჰყონ მათი დროულად და უკლებლივ გამოცხადება დახელოვნების კურსებზე, ამასთან მკაცრი ზომები მიიღონ იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც თავს აარიდებენ კურსებზე წასვლას, და ამით დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს კურსების მუშაობის ნაყოფიერად წარმართვის საქმეში;

ბ) დახელოვნების კურსებზე არ გაგზავნონ ჩვილბავშვიანი, დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული, ავადმყოფი, მოხუცებული, სამუშაოდან გასათავისუფლებლად გათვალისწინებული და ის მუშაკები, რომელთაც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში გავლილი აქვთ დახელოვნების შესაბამისი სახის კურსები;

გ) დახელოვნების კურსების მუშაობის დაწყებიდან ორი დღის განმავლობაში შეამოწმონ მათ მიერ კურსებზე გაგზავნილი მსმენელების გამოცხადება, მკაცრი სასჯელი დაადონ იმ მუშაკებს, რომლებმაც თავი აარიდეს კურსებზე გამოცხადებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ წინადადებანი პედაგოგიური სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

დ) საჭირო დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს და მის ფილიალს მათ ტერიტორიაზე მოწყობილი დახელოვნების კურსების მსმენელების საცხოვრებელი ბინებით, ხელოვნური დინო ოთახებითა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში.

3. მუშაობიდან მოწყვეტით მოწყობილ დახელოვნების კურსებზე გაგზავნილი მასწავლებლის ნაცვლად განათლების განყოფილებამ დანიშნოს (დროებით) შემცვლელი მასწავლებელი და აუნაზღაუროს მას გადაცემული გაკვეთილების საფასური. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება იმავე საგანში შემცვლელი მასწავლებლის გამონახვა, კურსებზე მყოფი მასწავლებლის გაკვეთილები უნდა გადაეცეს სხვა მასწავლებელს (ან მასწავლებლებს) თავიანთ საგანში (ან საგნებში) გამოსაყენებლად. კურსებიდან დაბრუნებულმა მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს თავისი გაკვეთილებიც, წინა თვის საათებიც და ხელფასი აუნაზღაურდეს ორმაგად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს დროულად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალი ამ ბრძანებით დაგეგმილი კურსებისათვის საჭირო თანხებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას მიმდინარე წლის 1 მაისამდე გამოუყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს და ინსტიტუტის ფილიალს კურსებისათვის საჭირო ინვენტარი და მასალები.

6. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

7. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს განათლების განყოფილებების სახალხო განათლების საბჭოს სხდომებსა და სკოლის დირექტორების თათბირებზე.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 8 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1957 წლის განმავლობაში

(მუშაობიდან მოუწყვეტლივ)

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონ-ტინ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	II—IV	თბილისი
„ „	1	30	II—IV	ბათუმი
2. შვიდწლიანი და საშ. სკ. ქართული ენისა და ლიტერ. მასწავლებელთა . .	1	30	II—V	გორი
„ „	1	30	I—IV	ქუთაისი
3. შვიდწლიანი და საშ. სკ. მათემატიკის მასწავლებელთა	1	30	II—IV	ბათუმი
„ „	1	30	II—V	ქუთაისი
4. ქართული სკ. დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	II—V	გორი
„ „	1	30	II—V	ბორჯომი
„ „	1	30	II—V	ბათუმი
5. სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა	1	30	IX—XII	ბეთანია
სულ . .	10	300		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1957 წლის განმავლობაში

(მუშაობიდან მოწყვეტით)

კურსებას დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. დაწყ. კლ. მასწ. ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	II	თბილისი
„ „	2	60	II	ქუთაისი
2. მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწ. ნაწილის გამგეების	1	30	II	თბილისი
3. მუშა ახალგაზრდობის სკოლების მათემატიკის მასწ-თა	1	30	III	თბილისი
4. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	V	თბილისი
5. სასწ. საცდელ ნაკვეთზე პრაქტ. მეც. და სოფლის მეურნ. პრაქტ. მასწავლებელთა	1	30	III—IV	„
„ „	2	60	III—IV	ქუთაისი
6. შრომის მასწავლებელთა . . .	2	60	IV—V	თბილისი
„ „	2	60	IV—V	ქუთაისი
7. შვიდწლიანი და საშ. სკ. სასწ. ნაწილის გამგეების	2	60	III	თბილისი
„ „	2	60	III	ქუთაისი
8. არაქართული სკოლების ქიმიის მასწავლებელთა	1	30	IV	თბილისი
9. პედკაბინეტის გამგეების	1	30	IV	„
10. სასკოლო ინსპექტორების . . .	1	30	IV	„

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კოხტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
11. საბავშვო ბაღების გამგეების	1	30	IV	ქუთაისი
„ „	1	30	IV	თბილისი
12. სასკოლო ინტერნატებისა და საბავშვო სახლის აღმზრდელების	1	30	V	„
13. სალავშვო ბაღის აღმზრდელები	1	30	V	თბილისი
„ „	2	60	V	ქუთაისი
14. ლოგოპედების	1	30	V	თბილისი
15. ქიმიის და ფიზიკის ლაბორანტების	1	30	V	„
„ „	1	30	IX	ქუთაისი
16. არაქართული სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთა	1	30	X	თბილისი
17. არაქართული სკ. ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	1	30	X	თბილისი
„ „	1	30	XII	ქუთაისი
18. სასკოლო ბიბლიოთეკარების	1	30	IX	თბილისი
„ „	2	60	IX	ქუთაისი
19. ფიზიკური აღზრდის მასწ-თა	2	60	XI	„
20. შვიდწლიანი და საშ. სკ. დირექტორების	3	90	XI	თბილისი
„ (რუსული ჯგ.)	1	30	XI	„
21. არაქართული სკ. ფიზიკის მასწავლებელთა	1	30	XI	„
22. მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკ. მასწავლებელთა (რუსული ჯგ.)	1	30	XI—XII	„
„ (ქართ. ჯგ.)	1	30	XI—XII	„
„ „	2	60	XI—XII	ქუთაისი
23. კინოდემონსტრატორების	1	30	XII	თბილისი
სულ	47	1410		

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1957 წლის ზაფხულის პერიოდში

კურსებას დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. ქართული სკ. დაწყ. კლ. მასწ-თა .	1	30	VI	ბორჯომი
„ „	4	120	„	თელავი
„ „	4	120	„	ქუთაისი
2. რუსული სკ. დაწყ. კლ. მასწ-თა .	2	60	„	თბილისი
3. არარუსული სკ. დაწყ. კლ. რუსული ენის მასწავლებელთა	2	60	„	თბილისი
„ „	2	60	„	ქუთაისი
4. აზერბაიჯანული სკ. დაწყ. კლასის მასწავლებელთა	1	30	„	ბოლნისი
5. სომხური „	2	60	„	ახალქალაქი
6. ოსური „	2	60	„	სტალინირი
7. ორ და მეტ კლ. ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა	3	90	„	ბორჯომი
„ „	2	60	„	ქუთაისი
სულ . . .	25	750		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1957 წლის ზაფხულის პერიოდში

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობ. დრო	მუშაობის ადგილი
1. ქართული ენისა და ლიტ. მასწ.	4	120	VII	ბორჯომი
" "	4	120	"	წყალტუბო
2. რუსული სკ. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	2	60	"	გუდაუთი
3. არარუსული სკ. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	3	90	"	"
" "	3	90	"	წყალტუბო
4. სომხური ენისა და ლიტ. მასწ. . .	1	30	"	ახალქალაქი
5. აზერბაიჯანული ენასა და ლიტ. მასწავლებელთა	1	30	"	ბოლნისი
6. ოსური ენისა და ლიტ. მასწ. . . .	1	30	"	სტალინირი
7. გერმანული ენის მასწ-თა	2	60	"	თბილისი
8. ინგლისური ენის მასწ-თა	1	30	"	"
9. ფრანგული ენის მასწ-თა	1	30	"	"
10. ისტორიის მასწავლებელთა . . .	2	60	"	სურამი
" "	3	90	"	ქუთაისი
" (რუსული ჯგ.)	1	30	"	სურამი
11. გეოგრაფიის მასწავლებელთა . .	2	60	"	ბორჯომი
" "	2	60	"	ქუთაისი
12. მათემატიკის მასწავლებელთა . .	3	90	"	ბათუმი
" "	4	120	"	ქუთაისი

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობ. დრო	მუშაობის ადგილი
მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.)	1	30	V	ბათუმი
13. ფიზიკის მასწავლებელთა . .	2	60	„	თბილისი
„ „	2	60	„	ქუთაისი
14. ბიოლოგიის მასწავლებელთ ა . .	2	60	„	თელავი
„ „	2	60	„	ქუთაისი
15. ქიმიის მასწავლებელთა	2	60	VII	თბილისი
16. ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა . .	1	30	„	სურამი
17.სასწავლო საცდელ ნაკვეთზე პრაქტ. მეცადინეობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	VI—VII	თბილისი
18. შრომის მასწავლებელთა	1	30	VI—VII	„
19. ფიზიკური აღზრდის მასწ-თა . .	1	30	VI	„
„ (რუსული ჯგ.)	1	30	„	„
20. სამხედრო მომზადების მასწავლებელთა	1	30	VI	თბილისი
„ „	1	30	VI	ქუთაისი
სულ . . .	58	1740		

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 193

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 26 თებერვალი

ზუგდიდის, გორის, თეთრიწყაროსა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასალებს ზუგდიდის, გორის, თეთრიწყაროსა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ ავღნიშნავ, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, დასახელებული რაიონების რიგი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო სწავლება, არ სრულდება მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის გეგმით გათვალისწინებული 7931 მოსწავლის ნაცვლად თეთრიწყაროს რაიონის სკოლებში სწავლობს 7005 (88,3%), ჩოხატაურის რაიონების სკოლებში — 6325-ის ნაცვლად 5845 (94,0%), ზუგდიდის რაიონის სკოლებში — 16950-ის ნაცვლად 16222 (95,7%) და გორის რაიონის სკოლებში — 13321-ის ნაცვლად 13124 (98,5%) მოსწავლე.

არასწორად არის აღრიცხული სკოლის ასაკის ბავშვები და მოზარდები. ამ რაიონების სკოლების I კლასებში მიმდინარე სასწავლო წელს ჩაირიცხა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე 396-ით, ხოლო გასულ სასწავლო წელს 784-ით მეტი ბავშვი.

არ სრულდება მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა V—XI კლასებში. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის შემოწმებული რაიონების სკოლების V—VIII კლასებში სწავლობდა 924, ხოლო IX—XI კლასებში 1233 მოსწავლით ნაკლები, მაშინ როცა ამ კლასებში სასწავლო წლის დასასრულს არსებული მოსწავლეთა კონ-

ტინგენტი გეგმის შესრულების სავსებით რეალურ შესაძლებლობას იძლეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო ყურადღება არ ექცევა IV, VII და VIII კლასდამთავრებულთა მომდევნო კლასებში ჩაბმის გეგმის შესრულებას. ჩამოთვლილი რაიონების სკოლების IV კლასდამთავრებულ 3206 მოსწავლიდან V კლასში სწავლობს 3085; VII კლასდამთავრებულ 3954-დან VIII კლასში 2955 და VIII კლასდამთავრებულ 3867-დან IX კლასში—2855 მოსწავლე.

დასახელებული რაიონების 5073 მეორეწლიანი მოსწავლიდან მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის სკოლებში გამოცხადდა მხოლოდ 4090 მოსწავლე. მეორეწლიან მოსწავლეებიდან ზუგდიდის რაიონის სკოლებს ჩამოცილდა 409, გორის რაიონის სკოლებს 196. ხოლო თეთრიწყაროსა და ჩოხატაურის რაიონების სკოლებს 189 მოსწავლე თითოეულს, ეს მდგომარეობა სწორად არ არის ასახული ამ რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ განათლების სამინისტროში წარმოდგენილ ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობებში.

აღნიშნული რაიონების სკოლებიდან გასული წლის განმავლობაში ოჯახური მდგომარეობის გამო, სკოლიდან საცხოვრებელი ბინის სიშორის კლასისათვის შეუფერებელი ასაკისა და სხვა არასაპატიო მიზეზით სკოლებს ჩამოცილდა 744 მოსწავლე. აქედან ზუგდიდის რაიონის სკოლებს — 115, გორისას—230, თეთრიწყაროსას—340 და ჩოხატაურისას —59 მოსწავლე.

მიმდინარე სასწავლი წლის I მეოთხედის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით ზუგდიდის რაიონის სკოლებიდან განითესა 104 მოსწავლე: შამგონის საშუალო სკოლიდან — 14, ორულის საშუალო სკოლიდან —9, ინგირის ქართული შვიდწლიანი სკოლიდან — 7. ამავე მეოთხედში თეთრიწყაროს რაიონის 16 შემოწმებული სკოლიდან განითესა 84 მოსწავლე, ამათგან: ასურეთის საშუალო სკოლიდან —15. მანგლისისა და კოდის საშუალო სკოლებიდან— 9—9. რიგი სკოლების დირექტორები მალავენ სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის ნამდვილ მიზეზს. ზუგდიდის რაიონის ორულის საშუალო სკოლიდან IV კლასის მოსწავლეები ვ. პერტაია და გ. ჯიჯონია დირექტორ ვ. ჯღამაიას მიერ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით სკოლიდან გავიდნენ ავადმყოფობის გამო, სინამდვილეში კი ისინი ავად არ ყოფილან და არასაპატიო მიზეზით განითესენ. თე-

თრიწყაროს რაიონის ერტისის შვიდწლიანი სკოლის IV და VII კლასის მოსწავლეებს ი. მენთეშაშვილსა და ს. ბაგრამიანს დირექტორი ლ. ჯინჯიხაძე სხვა სკოლაში გადასულად თვლის. ამის დამტკიცებელი საბუთები კი სკოლას არ გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებისა და განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელები სათანადოდ არ იყენებენ ადგილობრივ შესაძლებლობებს სკოლების მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად. შემოწმებული რაიონების სკოლების ერთი ნაწილი მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში და არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ინვენტარით. გორის რაიონის არაშენდის დაწყებითი სკოლის შენობის ქვედა სართულში კერძო პირის საქონლის ბოსელია მოთავსებული. ამ სკოლას არ გააჩნია ეზო მოსწავლეთა დასასვენებლად. ამავე რაიონის ახალდაბის შვიდწლიანი სკოლა მოთავსებულია დაბალჭერიან ბნელ შენობაში და საკლასო ოთახებში არ ხერხდება ჰაერის გასუფთავება. ფხვენისის შვიდწლიანი სკოლა მოთავსებულია 2 პატარა შენობაში და ერთ მათგანს ხის იატაკიც არა აქვს დაგებული. ამ სოფელშია 1937 წელს დამწვარი სკოლის შენობა, რომლის აღდგენა არ მოითხოვს დიდ ხარჯებს. დასაყრდენი კედლის უქონლობა მდინარის ადიდებისას დანგრევის საფრთხეს უქმნის გორის რაიონის ფლავის შვიდწლიან სკოლას. თეთრიწყაროს რაიონის ორბეთის შვიდწლიანი სკოლის შენობა უვარგისია და ავარიულ მდგომარეობაშია. ჩამოთვლილი სასკოლო შენობების შეკეთება ადგილობრივი კოლმეურნეობების ძალებითა და საშუალებებით სავსებით შესაძლებელია, მაგრამ განათლების ადგილობრივი ორგანოები ამ მხრივ სათანადო ინიციატივას არ იჩენენ.

არ არის დანერგილი წარმოება-დაწესებულებათა მიერ სკოლებისადმი შეფობის პრაქტიკა. ჩოხატაურის რაიონის არც ერთ სკოლაში არაა მოწყობილი სახელოსნო. თეთრიწყაროს რაიონის 24 შვიდწლიანი და საშუალო სკოლიდან სახელოსნოები მოწყობილია მხოლოდ ორ სკოლაში, გორის რაიონის 44 შვიდწლიანი და საშუალო სკოლიდან 11-სა და ზუგდიდის რაიონის 51 შვიდწლიანი და საშუალო სკოლიდან 10 სკოლაში. ეს სახელოსნოები ძალზე ღარიბია მოწყობილობით, მათ არა აქვთ შესაფერი ბინები და არ ხერხდება მეცადინეობის ორგანიზებულად ჩატარება.

გორის რაიონის 114 დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლიდან

სასწავლო-საცდელი ნაკვეთი არა აქვს 68 სკოლას, ხოლო ჩოხატაურის რაიონის 39 სკოლიდან —14 სკოლას.

ზუგდიდის რაიონის 26 საშუალო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 20 სკოლას, ქიმიისა და ბიოლოგიის —13-ს, ამ რაიონის 25 შვიდწლიანი სკოლიდან 10-ს სრულებით არ გააჩნია არც ერთი კაბინეტი; ფიზიკის კაბინეტი აქვს 10-ს, ქიმიის — 4 და ბიოლოგიის—5 სკოლას.

გორის რაიონის 44 შვიდწლიანი და საშუალო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტისათვის ცალკე ოთახები არ აქვს 22, ქიმიის კაბინეტისათვის — 32 და ბიოლოგიის კაბინეტისათვის — 31 სკოლას. რიგ შემთხვევაში კაბინეტები მეტად ღარიბია ხელსაწყო-იარაღებით, რეაქტივებით და სხვა მასალით. ამით არის გამოწვეული, რომ ჩოხატაურის რაიონის კოხნარის, შუასურების, ხევის, ქვაბლის, განახლების საშუალო, ზემოსურების, ზოტის, ჩხაკოურის და გოგოლესუბნის შვიდწლიან სკოლებში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები.

სკოლების ერთი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით. ზუგდიდის რაიონის ორულის საშუალო სკოლის XI კლასის 18 მოსწავლიდან ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო არა აქვს 11. სტერეომეტრიისა და რუსული ენის სახელმძღვანელო — 17, ხოლო ქიმიისა — 15 მოსწავლეს, X კლასის 46 მოსწავლიდან უმეტესობას არა აქვს სახელმძღვანელოები 8 საგანში. IX კლასის 53 მოსწავლიდან 41 მოსწავლეს არა აქვს ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 48-ს, — რუსული ენის სახელმძღვანელო, 47-ს — რუსული ლიტერატურისა და ტრიგონომეტრიის, 39-ს — ფიზიკის სახელმძღვანელო. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მხრივ VIII, VII, VI, Vდა II კლასებში. სახელმძღვანელოებით არ არიან აგრეთვე მომარაგებული ზუგდიდის რაიონის რუხის საშუალო, ზედაეწერის, ოდიშის შვიდწლიანი, წულუკიძის დაწყებითი, გორის, ჩოხატაურის და თეთრიწყაროს რაიონების სკოლები.

რიგ სკოლებში სუსტია შინა-სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. ზუგდიდის მე-4, კახათის, ოქტომბრის, ნარაზენის, ცაიშის სკოლებში პედსაბჭოს სხდომებზე იშვიათად იხილავენ მეთოდურსა და ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის

საკითხებს. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ნაკლებად ესწრებიან გაკვეთილებს. თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საშუალო სკოლის დირექტორს გ. პაპუაშვილს 1 მეოთხედში მოსმენილი აქვს 11 გაკვეთილი, ლოუბნის სკოლის დირექტორს — გ. ბუტორიაშვილს — 22, მანგლისის ქართული სკოლის დირექტორს ბ. სულაბერიძეს — 13, ჩხიკვთის სკოლის დირექტორს ვ. ტყეშელაშვილს — 16. მოსმენილი გაკვეთილები არაა სათანადოდ გაანალიზებული და დირექტორები კმაყოფილდებიან მასწავლებლებზე ფორმალური მითითებების მიცემით.

რიგ სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურ შეფასებას. ჩოხატაურის რაიონის გოგოლესუბნის შვიდწლიანი სკოლა წარჩინებით დაამთავრა 12 მოსწავლემ. ისინი სწავლას განაგრძობენ ჩოხატაურის საშუალო სკოლაში. აქ თითოეულ მათგანს I მეოთხედში 8 და მეტ საგანში აქვს არადამაკმაყოფილებელი შეფასება. ამავე რაიონის ფარცხმის შვიდწლიანი (დირექტორი ი. ცხოიძე) და დაწყებითი (გამგე ზ. კეშელავა) სკოლებიდან წასულმა მოსწავლეებმა ძლიერ დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს საშუალო სკოლაში.

თეთრიწყაროს რაიონის ლოუბნის სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე აზარაშვილი მხოლოდ ერთხელ იყო გამოკითხული ქიმიაში (მასწავლებელი—მ. ჭურღულაშვილი) და მიუხედავად იმისა, რომ დაბალი შეფასება მიიღო, მეოთხედური ნიშანი „3“ აქვს. ამავე საგანში ფრიადი და დამაკმაყოფილებელი შეფასებები აქვთ I მეოთხედში მოსწავლეებს ვარამაშვილსა და ყელბერაშვილს, რომელნიც გამოკითხული არიან თითოჯერ და მიღებული აქვთ შეფასება „1“. ანალოგიურ ფაქტებს აქვს ადგილი გორის რაიონის კარალეთის, ვარიანის, ქვემო ნიქოზის საშუალო, ახალდაბის, ფხვენისის და სხვა შვიდწლიან სკოლებში. ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის (დირექტორი — ა. სიხარულიძე), შუასურების (დირექტორი — ა. ტუღუში), ერკეთის (დირექტორი — ფ. როინიშვილი), განახლების (დირექტორი ს. ჯიბლაძე), საჭამიასერის (დირექტორი — ნ. ჭკუასელი) საშუალო და რიგ შვიდწლიან სკოლებში ზოგიერთ მასწავლებელს საკლასო ჟურნალებში არ შეაქვს დამუშავებული მასალა და არც მიმდინარე შეფასების ნიშნები.

ზოგიერთი მასწავლებელი თავისი დანაშაულებრივი მოქმედებით სახელს უტეხს საბჭოთა მასწავლებლის მაღალ ავტორიტეტს.

მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ორულის საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ჩანგელია მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედის მანძილზე სკოლაში არ დადიოდა. იგი ვაშლით ვაჭრობდა ქუთაისი კოვში. სკოლის დირექტორმა ვ. ჯღამაიამ ამ ფაქტს სათანადო რეაგირება არ გაუკეთა, რითაც ჩანგელიას საშუალება მიეცა შეელახა საბჭოთა მასწავლებლის სახელი. ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი გ. სორდია პირადი ინტერესის საფუძველზე წერდა დირექტორის წინააღმდეგ განცხადებებს და მასზე ხელს აწერინებდა სკოლის მოსწავლეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლებში მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეს, ერთიანი პედაგოგიური მოთხოვნის, სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთკავშირისა და პიონერ-კომკავშირელთა ავანგარდული როლის უგულვებელყოფის შედეგად ზოგ სკოლაში დაბალია დისციპლინა. ზუგდიდის რაიონის ინგირის შვიდწლიანი სკოლის (დირექტორი — ა. ხუფაცარია) 4 მოსწავლე შემჩნეული იყო ქურდობაში. პედაგოგიურ საბჭოს ამ ფაქტის შესახებ არ უმსჯელია. სკოლის დირექტორმა სკოლიდან გარიცხა ეს მოსწავლეები, მაგრამ ამის შესახებ არაფერი აცნობა განათლების განყოფილებას. ორულის საშუალო სკოლაში (დირექტორი — ვ. ჯღამაია) უფროსი კლასების მოსწავლეები არაფხიზელ მდგომარეობაში შევიდნენ გაკვეთილებზე და დებოში ატეხეს. ამ მდგომარეობას ადვილად შეურიგდა სკოლის ხელმძღვანელობა, არ გახადა რა ეს ფაქტი პედაგოგიური საბჭოსა და მოსწავლეთა ორგანიზაციების მსჯელობის საგნად. დისციპლინის დარღვევის მრავალი შემთხვევაა დატოვებული რეაგირების გარეშე რუხის, ანაკლიის საშუალო, ზედაეწრის და ერგეთის შვიდწლიან სკოლებში.

ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევებს. მილიციის ორგანოების მიერ ქ. ზუგდიდში ჩატარებული რეიდის შედეგად აღმოჩნდა, რომ ცაიშის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე რ. ფიფია ქ. ზუგდიდის ბაზარში დახეტიალობდა იმ დროს, როცა ის გაკვეთილებზე უნდა ყოფილიყო. ზუგდიდის მესამე შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები ო. ყალიჩავა და ო. ლუკავა დაპატიმრებული იქნენ ხულიგნობისათვის; მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლეები ვ. ნესაჩევი და ვ. შჩერბინა ბაზარში ეწეოდნენ სპეკულიაციას; ინგირის მე-5 რუსული საშუალო სკოლის მე-5 კლასის

მოსწავლე რ. შიპიტნოვი რეგისტრაციაშია გატარებული ქურდ-
ბისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედში ზუგდიდის რაიონის სკოლების მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 33394 გაკვეთილი. არასაპატიო მიზეზით არის გაცდენილი თეთრი წყაროს რაიონის 30 შემოწმებულ სკოლაში გაცდენილი გაკვეთილების მთელი რაოდენობის 42, ხოლო ამავე რაიონის ღოუბნის შვიდწლიან სკოლაში 77,8 პროცენტი.

იმისათვის, რომ ისარგებლოს მასწავლებელთათვის დაწესებული შეღავათებით, მასწავლებლების ერთი ნაწილი მცირე დატვირთვაზე მუშაობს. ეს იწვევს გაკვეთილების დაქუცმაცებას. ზუგდიდის რაიონის ურთის შვიდწლიან სკოლაში ისტორიის 6 გაკვეთილი თანაბრად არის განაწილებული 3 მასწავლებელზე, გეოგრაფიის 7, ბიოლოგიის 12, მათემატიკის 19, გერმანული ენის 9, და ქართული ენისა და ლიტერატურის 19 გაკვეთილი — ორ-ორ მასწავლებელზე. ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის 13 გაკვეთილს ორი და შუაგანახლების შვიდწლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის 19 გაკვეთილს 3 მასწავლებელი ასწავლის. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს თეთრიწყაროსა და გორის რაიონების ზოგიერთ სკოლაში.

მასწავლებლების ერთი ნაწილი არ მუშაობს თავისი სპეციალობის მიხედვით. ზუგდიდის რაიონის ინგირის შვიდწლიან სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის გ. ფირცხალავა, რომელსაც დამთავრებული აქვს ორწლიანი აგრონომიული კურსები. ტყაის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელ კ. შამუგიას (ფილოლოგი) ერთ კლასში ისტორიის სწავლებაც უკისრია. ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ისტორიის სპეციალისტი ლ. ჭკვანავა გეოგრაფიასაც ასწავლის, მაშინ როცა გეოგრაფიის სპეციალისტი აქ დატვირთულია ბიოლოგიის გაკვეთილებით. ურთის შვიდწლიან სკოლაში გერმანული ენის 8 გაკვეთილი განაწილებული აქვთ დირექტორ მ. ლაგვიალავასა და მასწავლებელ ნ. ქირიას (არც ერთი მათგანი ამ საგნის სპეციალისტი არაა).

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო შემოწმებული რაიონების რიგ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა წარმატება. ამ რაიონების სკოლებში გასული სასწავლო წლის ბოლოს ირიცხებოდა 41386 მოსწავლე, აქედან ვერ ასწრებდა 20,2 %, ხოლო საგაზაფხულო

და საშემოდგომო გამოცდების შედეგად კურსის გასამეორებლად იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 1073 მოსწავლე, ე. ი. 12,3 %. ზუგდიდის რაიონის სკოლებში სასწავლო წლის ბოლოსათვის ასწრებდა 22,1 %, საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად დატოვებულ იქნა იმავე კლასში 11,7%, თეთრიწყაროს რაიონის სკოლებში იმავე პერიოდისათვის ვერ ასწრებდა 20,4 %, დატოვებულ იქნა 15 %, გორის რაიონის სკოლებში — 18,9 % დატოვებული იქნა — 12,3 %, ჩოხატაურის რაიონის სკოლებში — 17,8 %, დატოვებულ იქნა 10 %. ამ მხრივ კიდევ უფრო ცუდი სურათია ცალკეული სკოლების მიხედვით. გორის რაიონის ტინისხიდის შვიდწლიან სკოლაში დატოვებულ მოსწავლეთა რაოდენობა უდრის 22,5 %, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლაში — 19,3%.

დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრა მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედი შემოწმებული რაიონების ზოგიერთმა სკოლამ. თეთრიწყაროს რაიონის 19 შემოწმებული სკოლიდან I მეოთხედში ასწრებდა მხოლოდ 71,5 %, 359 მეორეწლიანიდან — 159 (44,3 %); ჩოხატაურის რაიონის სკოლების 5711 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 1541 (27 %). ამავე მეოთხედში ასწრებდა ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის VII კლასში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 44, VIII კლასში — 50 და X-ში 52,6 პროცენტი.

ვბრძანებ:

I. ზუგდიდის, გორის, თეთრიწყაროს და ჩოხატაურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ა. ჭითანავა, ა. ჩხეიძე, ა. ჟღენტი, ე. კუჭავა):

1. საყოველთაო სწავლების განუხრელად განხორციელების საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 22 დეკემბრის (№ 1750) ბრძანებით; გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლისგარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის დასადგენად, დააზუსტონ სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის მიზეზები და მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ არასაპატიო მიზეზით სკოლიდან გასულ მოსწავლეთა შესაბამის კლასებში დაბრუნება;

2. მომავალში არ დაუშვან შეუმოწმებელი სტატისტიკური მასალების განათლების სამინისტროში გამოგზავნა და მკაცრი სას-

ჯელი დაადონ სკოლის ხელმძღვანელებს, რომლებიც შეეცდებიან არასწორი ცნობებით ხელმძღვანელი ორგანოების შეცდომაში შეყვანას;

3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეს, ფართოდ დანერგონ სკოლებისადმი წარმოება-დაწესებულებათა შეფობა და ამ საქმეში სათანადო დახმარების აღმოჩენის მიზნით სისტემატურად დააყენონ საქმის კურსში რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები;

4. უზრუნველყონ მიღებული სახელმძღვანელოების პროპორციული განაწილება სკოლებზე, მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, პირადი პასუხისმგებლობით;

5. მიმდინარე სასწავლო წლის IV მეოთხედის ბოლომდე შეამოწმონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე მოისმინონ ცალკეული სკოლების დირექტორების მოხსენებები და ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ მოსწავლეთა დაბალი წარმატებისა და მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ;

6. უმოკლეს ვადაში დააზუსტონ რაიონების სკოლებში მასწავლებელთა დატვირთვის მდგომარეობა, ახალი სასწავლო წლიდან არ დაუშვან საგნების დაქუცმაცება და მასწავლებელთა მუშაობა არასპეციალობის მიხედვით;

7. გააძლიერონ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ხელმძღვანელობა; მკაცრი ზომები მიიღონ იმ მასწავლებელთა წინააღმდეგ, რომელნიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი დაუდევრობას იჩენენ ან თავისი დანაშაულებრივი მოქმედებით სახელს უტეხენ საბჭოთა მასწავლებლის მაღალ წოდებას;

8. სასწავლო წლის დასრულებისთანავე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ანგარიში რაიონის სკოლების მუშაობის შესახებ, რომელშიაც დაწვრილებით ასახონ აღნიშნული ბრძანების შესრულების მდგომარეობა.

II. სკოლების დირექტორებმა:

1. მიმდინარე წლის 15 აპრილისათვის დააზუსტონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სიები, მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა სწავლება-

ში ჩაბმა; სრულად შეინარჩუნონ მოსწავლეთა ის კონტინგენტი, რომელიც ამჟამად არის სკოლებში;

2. მჭიდრო კავშირი დაამყარონ მოსწავლეთა მშობლებთან, კოლმეურნეობებთან, წარმოება-დაწესებულებებთან; სრულყოფილად გამოიყენონ სკოლის სასწავლო მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად ადგილობრივი შესაძლებლობანი;

3. ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს, სისტემატურად დაესწრონ მათ გაკვეთილებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. მკვეთრად გააუმჯობესონ დაბალი წარმატების მოსწავლეებთან მუშაობა და მშობლებთან ერთად მიიღონ საჭირო ზომები მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ;

5. მშობელთა აქტივის დახმარებით, ერთიან პედაგოგიურ მოთხოვნათა განხორციელებით და მოსწავლეთა დასჯა-წახალისების ღონისძიებების შემოქმედებითად გამოყენებით, უზრუნველყონ სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მკვეთრად გაუმჯობესება; ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს 1956 წლის 2 მარტის (№ 195) ბრძანებით.

III. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ს. არველაძე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რაიონებსა და ქალაქებზე სახელმძღვანელოების სწორად განაწილებისა და ადგილებზე თავის დროზე დაგზავნის საქმეს; დაუყოვნებლივ გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში შემჩნეულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად.

IV. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) II კვარტალის მანძილზე გადასინჯოს ამ ბრძანებაში აღნიშნული რაიონების მასწავლებელთა კადრები და არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაატაროს საჭირო ღონისძიებანი.

V. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) გააძლიეროს ზემოაღნიშნული რაიონების განათლების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი.

VI. სკოლების მუშაობისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ჭითანავას, გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ჩხეიძეს, თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ჟღენტს და ჩოხატაურის რაიონის განათლების

განყოფილების ყოფილ გამგეს, ამჟამად ჩოხატაურის სკოლის დირექტორს ამხ. გ. კალანდაძეს.

VII. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ამ ბრძანებით აღნიშნული ცუდადმომუშავე სკოლების ხელმძღვანელებისადმი მასწავლებლების მიმართ გატარებულია საჭირო ღონისძიებანი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

VIII. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განხილვა.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 22 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
28 თებერვალი, 1957 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის დროებითი შინაგანაწესი

1. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ცხოვრებისა და ყოფაქცევის წესები დგინდება სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების, საბჭოთა პედაგოგიკისა და სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატის შინაგანაწესის მიზანია აღსაზრდელთა მთელი კოლექტივის მოწესრიგება, მათი ჯანმრთელობის დაცვა, აღსაზრდელთა მაღალი შრომის უნარიანობით აღჭურვა; შინაგანაწესი საშუალებას აძლევს აღსაზრდელებს ყოველმხრივ განავითარონ საკუთარი ინიციატივა ინდივიდუალური და კოლექტიური საქმიანობის სხვადასხვა დარგში.

სასწავლო წლის ორგანიზაცია

2. სასწავლო წელი სკოლა-ინტერნატში ისე, როგორც ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, იწყება 1 სექტემბერს. 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე (ჩათვლით) ტარდება საზამთრო არდადეგები, 25 მარტიდან 3 აპრილამდე (ჩათვლით) საგაზაფხულო არდადეგებები.

3. საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების დროს მშობელთა სურვილით აღსაზრდელებს შეიძლება მიეცეთ შვებულება.

საზაფხულო არდადეგების დროს I — IV კლასების მოსწავლეებს ეძლევათ შვებულება 6 კვირის, V — IX კლასების მოსწავლეებს კი — 4 კვირის ხანგრძლიობით. არდადეგების დანარჩენ პერიოდში მოსწავლეები ცხოვრობენ ინტერნატში და მონაწილეობენ სკოლის მეურნეობის აუცილებელ სამუშაოებში, აგრეთვე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საზაფხულო შვებულება აღსაზრდელებს ეძლევათ ჯგუფურად სხვადასხვა დროს ადმინისტრაციის შეხედულებისა და მშობლებთან შეთანხმების საფუძველზე იმ ანგარიშით, რომ

ზაფხულის მთელ მანძილზე უზრუნველყოფილი იყოს სკოლის მეურნეობის მომსახურება აღსაზრდელთა ძალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწესი მოსწავლეთათვის

4. განაწესს მოსწავლეთათვის ადგენს სკოლის დირექტორი, სკოლა-ინტერნატში ცხოვრების საერთო პირობების, მოსწავლეთა ასაკისა და სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

განაწესში უნდა იყოს გათვალისწინებული:

დილის ვარჯიში 15 წუთის ხანგრძლიობით;

მეცადინეობა სასწავლო გეგმის სრული შესაბამისობით;

შესვენების ხანგრძლიობა 10 წუთი, მესამე შესვენებისა — 30 წუთი; სხვადასხვა წრეებსა და სპორტულ სექციებში მუშაობისათვის, აგრეთვე თავისუფალი დროისათვის, რომელიც ბავშვებმა უნდა გაატარონ თავისი ინტერესებისა და მიდრეკილების მიხედვით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

I — VI კლასების მოსწავლეთათვის 1,5 საათი;

VII — X კლასების მოსწავლეთათვის 2 საათი;

სუფთა ჰაერზე ყოფნისათვის მთლიანად გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

I — IV კლასების მოსწავლეთათვის 4 საათი;

V — VII კლასების მოსწავლეთათვის 2 საათი და 42 წუთი;

VIII — X კლასების მოსწავლეთათვის 2 საათი;

საშუალო და უფროსი ასაკის აღსაზრდელებისათვის (V — X კლასები) ამ დროიდან 1 — 1,5 საათი განეკუთვნება დამოუკიდებელ საქმიანობას.

საერთო მაქსიმალური ხანგრძლიობა საკლასო და დამოუკიდებელი სასწავლო მეცადინეობისა შრომაში, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობის ჩათვლით, განისაზღვრება (ასტრონომიულ საათებში):

I კლასის მოსწავლეთათვის 4 საათი;

II — IV კლასების მოსწავლეთათვის 4,5 საათი;

V — VII კლასების მოსწავლეთათვის 6,5 საათი;

VIII — X კლასების მოსწავლეთათვის 8 საათი.

ამ დროიდან დამოუკიდებელ სასწავლო მეცადინეობას დაეთმობა:

III — IV კლასების მოსწავლეთათვის 1 საათი;

V — VI კლასების მოსწავლეთათვის 1,5 საათი;

VII — VIII კლასების მოსწავლეთათვის 2 საათი;

IX — X კლასების მოსწავლეთათვის 2,5 საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I — II კლასებში ტარდება მხოლოდ საკლასო მეცადინეობა; დამოუკიდებელი საშინაო დავალება ამ კლასების მოსწავლეებს არ ეძლევათ.

საშინაო დავალებების შესრულება III — X კლასების მოსწავლეებმა უნდა დაიწყონ არაუგვიანეს 17.00 — 18.00 საათისა.

დამოუკიდებელი მეცადინეობისას საჭიროა ხანმოკლე შესვენებების მოწყობა. III — IV კლასების მოსწავლეებისათვის ყოველი 30 წუთის, V — X კლასების მოსწავლეებისათვის ყოველი 45 წუთის შემდეგ. საზოგადოებრივ-სასარგებლო და საოჯახო საქმიანობისათვის, რომელშიც აღსაზრდელებს აბამენ მათი ასაკისა და ინდივიდუალურ თავისებურებათა მიხედვით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

I — IV კლასების მოსწავლეთათვის 45 წუთი, V — X კლასების მოსწავლეთათვის — 1 საათი.

დღის რეჟიმში მოსწავლეთა თვითმომსახურებისა (დილის და საღამოს ტუალეტი, ლოგინის დალაგება, ტანსაცმლის მოვლა-პატრონობა, დილის ვარჯიში, წყლის პროცედურა) და კვებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას: I — VII კლასების მოსწავლეთათვის 2 საათი, VIII — X კლასების მოსწავლეთათვის 1 საათი და 45 წუთი.

მოსწავლეთა კვება წარმოებს დღეში ოთხჯერ: დილის საუზმე (დღიური კალორიულობის 25%), მეორე საუზმე მეცადინეობის პერიოდში (15%), სადილი (40 — 45%) და ვახშამი (15 — 20%).

ძილის ხანგრძლიობა: I კლასის მოსწავლეთათვის — 11,5 საათი (აქედან 1 — 1,5 საათი დღის ძილი).

II — IV კლასების მოსწავლეთათვის 11 საათი. (აქედან II კლასის მოსწავლეთათვის 1 — 1,5 საათი დღის ძილი);

V — VI კლასების მოსწავლეთათვის 10 საათი;

VII — კლასის მოსწავლეთათვის 9,5 საათი;

VIII — X კლასების მოსწავლეთათვის 9 საათი.

ექიმის დასკვნით დღის ძილი შეიძლება დაწესდეს აგრეთვე

III — X კლასების ცალკეულ აღსაზრდელთათვის 1 — 1,5 საათის ხანგრძლიობით.

კვირა დღეებსა და არდადეგების პერიოდში რეჟიმის ძირითადი ელემენტები (ძილი, ჭამა, ჰიგიენის პროცედურები) თავისი ხანგრძლიობისა და შესრულების დროის მიხედვით იგივე რჩება, რაც სამუშაო დღეებში. აღსაზრდელები 5 — 6 საათს ატარებენ სუფთა ჰაერზე, სპორტულ და სხვა სახის თამაშობებში, ექსკურსიებსა, მოკლე ტურისტულ ლაშქრობებსა და მუზეუმების, გამოფენების დათვალიერებაში. ხანგრძლივდება აღსაზრდელთა დამოუკიდებელი საქმიანობის დრო.

ზაფხულის განმავლობაში ყველა ასაკის აღსაზრდელი ეწევა შესაფერის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ხოლო უფროსი ასაკის აღსაზრდელები — საწარმოო შრომას სოფლის მეურნეობაში..

მებაღეობა-მებოსტნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს დაეთმობა:

უფროსი კლასების მოსწავლეთათვის — 4 — 5 საათი დღეში;
საშუალო კლასების მოსწავლეთათვის 3 — 4 „ „
უმცროსი კლასების მოსწავლეთათვის 1,5 „ „

უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის ყოველი 20 — 30 წუთის, ხოლო საშუალო და უფროსი ასაკისათვის 50 წუთის მუშაობის შემდეგ ეწყობა ათწუთიანი შესვენება.

ამასთან ერთად ტარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, რისთვისაც დღის რეჟიმში გათვალისწინებული უნდა იქნეს 1 — 1,5 საათი.

დღის განაწესის შესრულება

5. დილის საყვირის ხმაზე აღსაზრდელები დგებიან და თავიანთი აღმზრდელების მეთვალყურეობის ქვეშ ეწყობიან დილის ვარჯიშისათვის, რომელსაც ატარებს ფიზკულტურის მასწავლებელი.

დილის ვარჯიშის შემდეგ ბავშვები ასწორებენ საწოლებს, პირს იბანენ და ემზადებიან დილის დათვალიერებისათვის. დათვალიერებას ატარებენ აღმზრდელები. ისინი ამოწმებენ აღსაზრდელთა რიცხვს, მათ მიერ პირადი ჰიგიენის წესების დაცვის მდგომარეობას, ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის მდგომარეობას, მიუთითებენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებაზე. გარდ ამისა, აღმზრდელები ავლენენ იმ აღსაზრდელებს, რომელთაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ და გზავნიან მათ სამედიცინო პუნქტში.

6. დილის დათვალიერების შემდეგ აღსაზრდელები მიდიან სასადილოში საუზმის მისაღებად. სასადილოში ისინი იკავებენ მათ-ზე მუდმივ გაპიროვნებულ ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსაზრდელები ასეთივე წესით მიდიან მეორე საუზმის, სადილისა და ვახშმის მისაღებად. საჭმლის მიღების დროს აღსაზრდელებს მორიგეობის წესით, მომსახურეობას უწევენ თვით აღმზრდელები.

7. საუზმის შემდეგ აღსაზრდელები ამზადებენ ყველაფერს, რაც მათ გაკვეთილებისათვის სჭირდებათ და მიდიან კლასებში.

შენიშვნა: 1. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთათვის სკოლაში სავალდებულოა მასობრივი სკოლის მოსწავლეთა ქცევის წესები.

2. დიდი დასვენების დროს მოსწავლეებს ეძლევათ მეორე საუზმე.

8. მოსწავლეები დამოუკიდებლად ამზადებენ გაკვეთილებს თავიანთი აღმზრდელის ზედამხედველობით. სასწავლო კაბინეტებში ამ დროს საჭიროების მიხედვით წესდება მორიგეობა მასწავლებლებისა, რომლებიც მოსწავლეებს საჭირო კონსულტაციასა და დახმარებას უწევენ.

აღსაზრდელთათვის, რომლებმაც გაკვეთილები გააცდინეს და სწავლაში ჩამორჩნენ, მასწავლებლები სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგესთან შეთანხმებით ატარებენ დამატებით მეცადინეობას, როგორც წესი, ინდივიდუალურად.

კლასგარეშე და სკოლის გარეშე მეცადინეობებზე აღსაზრდელები მიდიან აღმზრდელების ნებართვით.

სამუშაო დღე მთავრდება საღამოს შემოწმებით, რომელსაც ატარებენ აღმზრდელი მასწავლებლები საწოლი ოთახების შემოვლით, თანახმად სკოლა-ინტერნატის დირექტორის ინსტრუქციისა.

9. შაბათსა და უქმეების წინა დღეებში აღსაზრდელებს შეუძლიათ მიიღონ შვებულება მშობლების ან ნათესავების სანახავად. შვებულების მიღების მსურველნი ნებართვისათვის მიმართავენ თავის აღმზრდელ-მასწავლებელს, რომელიც მათ ათავისუფლებს დირექტორთან შეთანხმებით.

შვებულებაში წამსვლელი ცხადდება სკოლა-ინტერნატის უფროს მორიგესთან, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ აძლევს აღსაზრდელს წასვლის ნებართვას, როდესაც დარწმუნდება, რომ მას წესი-

ერად აცვია და სუფთადაა. შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, აღ-
საზრდელი ცხადდება სკოლა-ინტერნატის უფროს მორიგესთან,
თავის აღმზრდელთან, გაივლის სანიტარულ დამუშავებას და
ნდება თავის ჯგუფს.

ბიბლიოთეკა

10. მშობლებისა და ნათესავების მიერ აღსაზრდელთა ნახვის წესს ადგენს სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

11. სკოლა-ინტერნატში წესდება თანამშრომელთა და უფროსი ასაკის აღსაზრდელთა ყოველდღიური სადღეღამისო განწესება სკოლა-ინტერნატის უფროსი მორიგის, სამზარეულოს მორიგის, სკოლის მორიგის, ინტერნატის მორიგის, სამედიცინო პუნქტის მორიგის, მორიგე დარაჯისა და მორიგე მებუკის შემადგენლობით.

12. სამედიცინო პუნქტისა და სამზარეულოს მორიგეებთან ერთად ბავშვთა კოლექტივის ორგანოების მიერ მორიგეებად ინიშნებიან აღსაზრდელებიც (მეცადინეობიდან თავისუფალ დროს). მორიგე მებუკედ ინიშნება აღსაზრდელი.

13. კლასში ერთი კვირის ვადით ინიშნებიან: კლასის მორიგე, სასადილოს მორიგეები, სამზარეულოს მორიგეები. ინტერნატის მორიგე ინიშნება ერთი დღის ვადით.

14. აღსაზრდელი გოგონები და ვაჟები თავსდებიან ცალცალკე კორპუსებში. საძინებელი ოთახების გარდა უნდა იყოს სასტუმრო, ოთახი გართობისა და დასვენებისათვის, მორიგე აღმზრდელისა და მორიგე ძიძის ოთახები, საპირფარეშო, პირსაბანი ოთახები, აბაზანისა და შხაპის მისაღები ოთახები, ჰიგიენის ოთახები გოგონებისათვის, ფეხსაცმლისა და ტანსაცმელის გასაწმენდი და ტანსაცმელის გასახდელი (გარდერობი) ადგილები.

ინტერნატი უნდა იყოს კეთილმოწყობილი ავეჯით, სურათებით და პორტრეტებით. აუცილებელია რადიოფიცირება და ადგილობრივი რადიოგადაცემების მოწყობა. საწოლები საძინებელ ოთახებში განლაგდება გარკვეული წესის მიხედვით. ყოველი საწოლის ბოლოში იდგმება სკამი, რომელზედაც აღსაზრდელი წესიერად აწყობს ტანსაცმელს.

საწოლები უნდა იყოს შეღებილი ან ნიკელის; საძინებელ ოთახებში ფანჯრებზე ჩამოკიდებულია ფარდები.

15. პირსაბანი ოთახები გოგონებისათვისა და ვაჟებისათვის (ცალცალკე) უნდა იყოს ფართო, ყოველ ხუთ აღსაზრდელზე ერთი ონკანით, და ფეხების საბანად სპეციალური მოწყობილობით. პირ-

საბან ოთახებში უნდა იყოს სპეციალური კარადა თაროებით და აღსაზრდელთა რიცხვის მიხედვით ინდივიდუალური უჯრებით საბნის, კბილის ფხვნილისა და კბილის ჯაგრისის შესანახად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააბაზანო და საშხაპო ოთახები ეწყობა გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალცალკე.

საპირფარეშო ოთახში უნდა იყოს არა ნაკლები ერთი თვალისა ყოველ ათ აღსაზრდელზე. მოწყობილობანი პირსაბან ოთახებში უნდა იყოს დადგმული აღსაზრდელთა სიმაღლის მიხედვით.

16. საცხოვრებელ ნაგებობათა ყოველდღიური დასუფთავება სწარმოებს შტატით გათვალისწინებული მომსახურე პერსონალისა და მორიგე აღსაზრდელის მიერ; კვირაში ერთხელ ტარდება ინტერნატის ყველა ნაგებობებისა და ეზოს გენერალური დასუფთავება. ამ საქმეში ჩამბული უნდა იყვნენ ყველა კლასის აღსაზრდელები, რომელთაც დაევალება აღსაზრდელთა ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობათა შესაფერი სამუშაოების შესრულება.

17. ყველა საცხოვრებელ სადგომში ზამთარში უნდა იყოს ტემპერატურა არანაკლებ 18°C.

18. ყოველ კლასს აქვს სასკოლო ავეჯის აუცილებელი რაოდენობა, შერჩეული აღსაზრდელთა სიმაღლის მიხედვით, საკლასო დაფა, მაგიდა და კათედრა მასწავლებლისათვის, კარადები აღსაზრდელთა წიგნების, სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების შესანახად.

19. სასწავლო კაბინეტებს, სასწავლო საწარმოო სახელოსნოებს, სპეციალურ ლაბორატორიებსა და კაბინეტებს უნდა გააჩნდეთ ყველა საჭირო მოწყობილობით, წყლითა და მუდმივცვლადი დენით აღჭურვილი სათანადო ფართობი.

20. სკოლა-ინტერნატს აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი და დამხმარე მეურნეობა არანაკლებ 5 ჰექტარისა.

სანიტარული მომსახურება

21. აღსაზრდელებმა უნდა დაიბანონ აბანოში ან მიიღონ აბაზანა კვირაში ერთხელ; ლოგინის თეთრეული, (გარდა საბნის გამოსაკრავებისა) საცვლები და პირსახოცები უნდა გამოიცვალოს ყოველკვირეულად. საბნის გამოსაკრავი კი — ორ კვირაში ერთხელ. წინდები, ცხვირსახოცები და ფაჟების საყელოს გამოსაკრავები — კვირაში ორჯერ, ლეიბებისა და საბნების გამზეურება-გაბერტყვა — თვეში 2-ჯერ.

ზედა ტანსაცმელი, ქუდები, ფეხსაცმელი და თეთრეული, რომლებიც აღსაზრდელებს ეძლევათ, აუცილებლად თითოეულზე უნდა იყოს მორგებული და გაპიროვნებული გარკვეული ნომრით.

22. ზაფხულობით აღსაზრდელთა ცურაობა და მათი [illegible] მის გაკეთება წარმოებს სკოლა-ინტერნატის ექიმის მიერ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული მითითებებით.

23. უფროსი კლასების (VIII-დან ზემოთ) აღსაზრდელ ვაჟებს უფლება ეძლევათ იქონიონ მოკლე და წესიერად დავარცხნილი თმა; დანარჩენი კლასების აღსაზრდელი ვაჟები იკრიჭავენ თმას მანქანით თვეში ორჯერ.

აღსაზრდელთა ქცევის წესები

24. აღსაზრდელი ვალდებულია:

— გულმოდგინედ და თავგამოდებით ეუფლებოდეს ცოდნას, იძენდეს შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელ ცოდნა-ჩვევებს, რომ გახდეს განათლებული და კულტურული წევრი საზოგადოებისა და საბჭოთა სამშობლოს მოუტანოს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა.

— ისწავლოს ბეჯითად, გაკვეთილებზე გამოცხადდეს დაუგვიანებლივ, გაკვეთილის დროს სწორად იჯდეს, ყურადღებით უსმენდეს მასწავლებელს და მოსწავლეთა პასუხებს; დროულად, წესიერად, დამოუკიდებლად შეასრულოს მასწავლებლის მიერ მიცემული საკლასო და საშინაო დავალებები.

— ზუსტად და მტკიცედ დაიცვას აღსაზრდელთათვის დადგენილი ცხოვრებისა და შრომის წესები.

— იყოს მოკრძალებული სკოლა-ინტერნატის დირექტორის, მასწავლებლების, ამღზრდელ-მასწავლებლების, უფროსებისა და ყველა მომსახურე პერსონალის მიმართ, პატივისცემით მოეპყრას მათ, უყოყმანოდ შეასრულოს მათი განკარგულებები და მოთხოვნილებანი.

— იყოს გულისხმიერი და თავაზიანი უფროსების, პატარა ბავშვების, სუსტების, ავადმყოფების მიმართ, დაუთმოს მათ გზა, ადგილი, გაუწიოს ყველა შესაძლო დახმარება.

— იყოს მუდამ მართალი და პატიოსანი.

— იყოს თავმდაბალი, იქცეოდეს ზრდილობიანად, კულტურუ-

ლად და ღირსეულად როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ (ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში, ოჯახში, ამხანაგებთან და სხვ.).

არ იხმაროს უწმაწური სიტყვები და უხეში გამოთქმები. ... მოსწიოს თამბაქო და არ დალიოს მაგარი სასმელები; არ ითამაშოს ფულზე და სხვა ნივთებზე.

— პასუხისმგებლობითა და მომჭირნეობით ზრუნავდეს სახალხო ქონების დაცვაზე, ფრთხილად მოექცეს ნივთებს, რომლებიც მის საკუთარ და მისი ამხანაგების სარგებლობაშია.

— დაიცვას და ფრთხილად მოექცეს წიგნებს, სასწავლო ნივთებს, ინსტრუმენტებს, დაზგებსა და მანქანებს. წესრიგში იქონიოს თავისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ლოგინი; ხელი შეუწყოს სისუფთავისა და წესრიგის დაცვას საძინებელ ოთახში კლასში და სკოლის სხვა ადგილებში.

— იყოს კარგი ამხანაგი კოლექტივში, დაეხმაროს ამხანაგებს, მოარიდოს ისინი ცუდ საქციელს; არ დაფაროს ცუდი საქციელის ჩამდენი ამხანაგები, იყოს მუდამ მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, დაიცვას კოლექტიური ცხოვრების წესები, სამაგალითო სწავლით, შრომითა და ყოფაქცევით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კლასისა და მთელი სკოლის კოლექტივის განმტკიცებას; გაუფრთხილდეს კოლექტივის ღირსებასა და პატივსნებას;

— მტკიცედ დაიცვას პირადი ჰიგიენის წესები; ყოველდღიურად, დადგენილ დროს (დილას და საღამოს), დაიბანოს პირი, ყურები, კისერი და დილით დაიზილოს ტანი ქამრამდე; დაიბანოს ხელები ჭამის წინ და მუშაობის შემდეგ და ყოველ საღამოს ძილის წინ — ფეხები გრილი წყლით, გაიწმინდოს კბილები ჯაგრისით საღამოობით დაძინებამდე. გამოივლოს პირში წყალი ძილისა და საჭმლის მიღების შემდეგ, დროულად დაიჭრას ფრჩხილები ხელებზე და ფეხებზე, შეიკრიჭოს თმები, დაიცვას ძილის ჰიგიენა.

ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ

25. აღსაზრდელები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას, გამოირჩევიან სამაგალითო ყოფაქცევით, შრომის მოყვარეობით და სწავლაში წარმატებას იჩენენ, ჯილდოვდებიან; უდისციპლინონი და დაუდევარნი — ისჯებიან სკოლა-ინტერნატიდან გარიცხვამდეც კი.

წახალისებანი, რომლებიც გამოიყენება აღსაზრდელების მიმართ

26. აღსაზრდელების მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ღონისძიებანი: მადლობის გამოცხადება ხაზზე ან სკოლა-ინტერნატისადმი ბრძანებით, ადრე დადებული სასჯელის მოხსნა, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მისამართით წერილით გაგზავნილი შექება, ქების სიგელით ან ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება, სწავლაში წარჩინებულ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობითა და სანიმუშო ყოფაქცევით განსაკუთრებულად გამორჩეულ აღსაზრდელთა საპატიო დაფაზე შეტანა.

27. სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური შემადგენლობის უფლებები აღსაზრდელთა მიმართ წახალისების ღონისძიებათა გამოყენების საქმეში.

მასწავლებელს, აღმზრდელსა და ოსტატს უფლება აქვთ: გამოუცხადონ აღსაზრდელს პირადი მადლობა, მადლობა კლასისა ან ჯგუფის წინაშე, მოუხსნან წინათ მათ მიერ დადებული სასჯელი და გაუგზავნონ აღსაზრდელის შექების წერილი მშობლებს ან მათ შემცვლელ პირთ.

სკოლა-ინტერნატის დირექტორსა და მის მოადგილეს უფლება აქვთ გამოიყენონ წახალისების ზემოთ მოყვანილი ყველა სახე. მასწავლებელთა და აღმზრდელთა წინადადებით აღსაზრდელის ქების სიგელით ან ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების, საპატიო დაფაზე შეტანის და სკოლისადმი ბრძანებით მადლობის გამოცხადების უფლება აქვს სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

აღმზრდელთა მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინარული სასჯელის სახეებია: შენიშვნა ან გაფრთხილება, პირადი საყვედური, საყვედური კლასისა ან ჯგუფის წინაშე, საყვედურის გამოცხადება სკოლა-ინტერნატის დირექტორის ბრძანებით, გამოსასვლელ და უქმე დღეებში, შვებულების უფლების წართმევა (არა უმეტეს ერთი დღისა თვეში), რიგ გარეშე განწესება (არა უმეტეს ორი განწესებისა), ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება.

სერიოზულ დანაშაულობათა შემთხვევაში სკოლა-ინტერნატიდან გარიცხვა.

29. მასწავლებელს, აღმზრდელსა და ოსტატს უფლება აქვთ: მისცენ აღსაზრდელს შენიშვნა ან გაფრთხილება; გამოუცხადონ პირადი საყვედური, გამოუცხადონ საყვედური კლასისა ან ჯგუფის წინაშე; წაართვან გამოსასვლელ და უქმე დღეებში შვებულება;

მისცენ რიგ გარეშე განწესება; შეიტანონ წინადადება სკოლა-ინტერნატის დირექტორთან აღსაზრდელის უფრო მკაცრად დასჯის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის დირექტორსა და მის მოადგილეს უფლება აქვთ აღსაზრდელების მიმართ გამოიყენონ დასჯის ზემოთ აღნიშნული ყველა სახე.

სკოლა-ინტერნატიდან აღსაზრდელის გარიცხვა ხდება პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით და მტკიცდება სკოლა-ინტერნატის დირექტორის ბრძანებით.

ბორქსის სახ. ... ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 50—სათამაშოების მუზეუმის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 93—მოსწავლეთა არდადეგების, სკოლებში მეცადინეობის დამთავრებისა და გამოცდების ჩატარების ვადების შესახებ 5
3. დებულება სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შესახებ . . . 7
4. ბრძანება № 285/კ—კადრების დარგში ქ. ფოთის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ 10
5. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, დაუსწრებელი და ოფიცერთა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ზოგიერთი მოსწავლის უცხო ენების სწავლებისაგან განთავისუფლების შესახებ 14
6. ბრძანება № 142—1956 წლის IV კვარტალში საბავშვო სახლების შემოწმების შედეგები› შესახებ 15
7. ბრძანება № 154—ასსრ განათლების სამინისტროების, ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების შესახებ 17
8. ბრძანება № 155—ქუთაისის რაიონის სოფელ რიონის საშუალო სკოლის შესახებ 22
9. ბრძანება № 159—ხაშურის რაიონის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ 24
10. ბრძანება № 160—ხაშურისა და ქარელის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 29
11. ბრძანება № 373/კ—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1956 წლის შედეგებისა და 1957 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ 37
12. ბრძანება № 199—ზუგდიდის, გორის, თეთრიწყაროსა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 49
13. სკოლა-ინტერნატის დროებითი შინაგანაწესი 60

უფასო

ß·13/170

ეროვნული
ბიბლიოთეკა